ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 21 ივლისი, 2021 №132 (8661) ფასი: 60 თეთრი

პოლიციამ ქურდულ სამყაროსთან კავშირისთვის 8 პირი დააკავა

გვ.5

მაია ცქიტიშვილის მიერ დანიშნულ გრიგოლ მანდარიას სუსი დააკავებს?

გვ.5

„ქართულმა ოცნებამ“ თბილისის მეროობის კანდიდატად კახა კალაძე წარადგინა

გვ.2

დავით კირკიტაძე: „ხაზარაძის განცხადება გაუგებარია“

გვ.2

„ძალოვანი მინისტრი პოლიტიკოსი არ უნდა იყოს“

„პროპორციულ ნაწილში რამდენიმე საინტერესო ვარიანტზე ვმუშაობთ, ყველაფერი კვირის ბოლომდე გაირკვევა“

„რუსეთიდან ტურისტები ყალბი კოვიდპასპორტებით შემოდიან“

გვ.3

სერგო ჩიხლაძე: „ძალიან საგანგაშო სიტუაციაა... სიკვდილიანობის გაზრდა მხოლოდ შტამთან არ არის დაკავშირებული“

გია ვოლსკიმ ლექსო ლაშქარავას ფოტო დახია

გვ.3

გვ.2

ამირან გამყრელიძე: „ვაქცინაციის დაბალი მაჩვენებელი ჩემი და ყველას პასუხისმგებლობაა“

გამოიყენებს თუ არა საქართველო „ყირიმის პლატფორმას?“

გვ.4

რატომ მოინახულა ზელენსკიმ ენგურის გამყოფი ხაზი

მამუკა მდინარაძე: „5 ივლისი არის ჩვენი, ყველას ერთად გამოსაძიებელი“

გვ.3

ISSN 1987-9385

3 ეკა ხოფერია: „იმ დღეს ლექსოს უფლებები დაცული არ იყო“

4 „ისრაელიდან აგვისტოს ბოლომდე ათეულობით ჯავშანია გაუქმებული“

5 „ტვ პირველის“ ოპერატორზე ძალადობის ფაქტზე კიდევ 1 პირი დააკავეს

6 სომხეთის მოქმედი თავდაცვის მინისტრი თანამდებობას ტოვებს

„ქართულმა ოცნებამ“ თბილისის მერობის კანდიდატად კახა კალაძე წარადგინა

გუშინ, 20 ივლისს, პარტიამ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ თბილისის მერობის კანდიდატად პარტიის გენერალური მდივანი და მოქმედი მერი კახა კალაძე დაასახელა.

მერობის კანდიდატი პარტიის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ წარადგინა.

– თბილისის მერობის კანდიდატად წარმოგიდგენთ ადამიანს, რომელიც იყო მაქსიმალურად წარმატებული ყველა საქმეში, რასაც კი დღემდე მოკიდა ხელი; რომელმაც ყველა წარმატებას მიაღწია ნიჭითა და შრომისმოყვარეობით; რომელიც არის გუნდური მოთამაშე; რომელსაც გამოარჩევს თანამებრძოლების, მეგობრებისა და საკუთარი გუნდის ერთგულება; რომელიც არის სამაგალითო მეოჯახე – სამაგალითო მეუღლე, სამაგალითო მამა, სამაგალითო შვილი; რომელსაც არ ეშინია თამამი გადაწყვეტილებების; რომელმაც ზუსტად იცის, რა სჭირდება თბილისს და თბილისელებს; რომელმაც შექმნა სიცოცხლით სავსე ქალაქის კონცეფცია და ზუსტად იცის, როგორ უნდა შეიტანოს კიდევ უფრო მეტი სიცოცხლე, მეტი განვითარება თბილისის თითოეულ უბანში. „ქართული ოცნება“ თბილისის მერობის კანდიდატად ასახელებს თბილისის ყველა დროის საუკეთესო მერს კახა კალაძეს, – განაცხადა კობახიძემ.

თავად კახა კალაძემ 5 ივლისს დედაქალაქში განვითარებული მოვლენები კიდევ ერთხელ შეაფასა.

– მინდა, ასევე მოგესალმოთ მედიის წარმომადგენლებს და მოგმართოთ, როგორც მერობის კანდიდატმა, როგორც მოქმედმა მერმა, მმართველი გუნდის წევრმა, როგორც მოქალაქე კახა კალაძემ და კიდევ ერთხელ დავაფიქსირო ჩემი პოზიცია იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რაც ჩვენს ქალაქში სამწუხაროდ, 5 ივლისს განვითარდა. რასაკვირველია, ძალადობა და სიძულვილი კლავს ჩვენს ქვეყანას, მის მომავალს და ყველა ის ადამიანი, ვინც 5 ივლისს გიმეტებდათ თქვენ, გირტყამდათ, ძალადობდა, აზიანებდა ქვეყნის განვითარებასა და ჩვენს ხვალინდელ დღეს. ეს დასჯადი ქმედებაა და ეს ყველაფერი სამარცხვინოა, – განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე შეფასებით, ფიზიკურ ძალადობასთან ერთად, არანაკლები ბოროტებაა ფსიქოლოგიური ძალადობა.

– არანაკლები ბოროტებაა ფსიქოლოგიური ძალადობა, რასაც, სამწუხაროდ, ადგილი აქვს ჩვენ საზოგადოებაში. ხშირად ვისმენთ სხვადასხვა ტელეეთერიდან ადამიანების დამცირებას, ცილისწამებას, მათ ბულინგს მხოლოდ და მხოლოდ განსხვავებული პოლიტიკური თუ სხვა ნიშნის გამო. ამიტომ, როდესაც ხვალინდელ თბილისზე ვსაუბრობთ, ჩემი, თქვენი და ყველას სურვილი უნდა იყოს ერთი – დავამარცხოთ სიძულვილი და ერთმანეთის მტრობა, – აღნიშნა კახა კალაძემ.

კახა კალაძე 2013 წლიდან დღემდე პარტია „ქართული ოცნების“ გენერალური მდივანია. 2012-2017 წლებში საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი/ვიცეპრემიერი იყო. 2017 წლიდან დღემდე კახა კალაძე დედაქალაქის მერის თანამდებობას იკავებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები მიმდინარე წლის 2 ოქტომბერს გაიმართება.

„ძალოვანი მინისტრი პოლიტიკოსი არ უნდა იყოს“

დავით კირკიტაძე: „ხაზარაძის განცხადება გაუგებარია“

იაგო ნაცვლიშვილი

„ლელოს“ ლიდერი მამუკა ხაზარაძე აცხადებს, რომ ოპოზიციამ ახლავე უნდა დაასახელოს ჩრდილოვანი კაბინეტი და პრემიერმინისტრობის კანდიდატი. მისივე თქმით, ძალოვანი მინისტრები ნაციონალურმა მოძრაობამ არ უნდა დაასახელოს.

რა პასუხი აქვთ ნაცმოძრაობაში ხაზარაძის განცხადებებთან დაკავშირებით, რა ეტაპზეა ოპოზიციური მოლაპარაკებები? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პარტიის ერთ-ერთი ლიდერი **დავით კირკიტაძე** საუბრობს.

– „ლელოს“ ლიდერმა წარმოადგინა თავისი ხედვა ჩრდილოვან კაბინეტთან დაკავშირებით. როგორია თქვენი პოზიცია, როდესაც ის საუბრობს იმაზე, რომ ძალოვანი მინისტრები ნაციონალური მოძრაობიდან არ უნდა იყოს დასახელებული და ეს ახლავე უნდა იყოს შეთანხმებული?

– ჩვენ რამდენიმე თვის წინ გავავრცელეთ განცხადება, რომ არც ერთი ძალოვანი მინისტრი არ უნდა ეკუთვნოდეს რომელიმე პოლიტიკურ პარტიას და საერთოდ პოლიტიკოსი არ უნდა იყოს. ჩვენ ჩვენი გეგმა გვაქვს, როგორ უნდა განხორციელდეს ეს სამართალდამცავ სტრუქტურებში. მკითხველს შევახსენებ, რომ მაგალითისთვის ჩვენი გეგმით გენერალური პროკურორის კანდიდატურა უნდა წარმოადგინოს არასამთავრობო სექტორმა უმცირესობასთან ერთად და უნდა იყოს უმცირესობის მიერ მხარდაჭერილი, ანუ არ უნდა იყოს არც ერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი.

ასევე ჩვენ გვაქვს რეფორმა შსს-სი, რომელიც უნდა გაიყოს და უფრო მეტიც, უნდა მოხდეს ადგილებზე შერიფების არჩევა.

– მუნიციპალურ დონეზე?

– დიახ, მუნიციპალურ დონეზე. რაც შეეხება ცენტრალურ დონეს, სუსი საერთოდ უნდა გაუქმდეს. ის უნდა გაიყოს ანტიკორუფციულ და კონტრდაზვერვად, როგორც ამერიკაშია. არ უნდა იყოს იქ არც ერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი. ის უნდა იყოს პროფესიონალებით დაკომპლექტებული. პოლიტიკური შეფერილობა საერთოდ უნდა მოვაშოროთ. ამაზე ჩვენ ვსაუბრობდით 2020-ის საარჩევნო გეგმაშიც.

ახლა ცოტა გაუგებარია ბატონი მამუკა ხაზარაძის განცხადება. შესაძლოა, მას არ აქვს ინფორმაცია და ამიტომ თქვა ან არ ვიცი... ყოველ შემთხვევაში, ჩვენ იმდენად მწარე გამოცდილება გვაქვს აღნიშნულთან დაკავშირებით დამოუკიდებლობის პერიოდშიც და მანამდეც, რომ უნდა გამოვრიცხოთ პოლიტიკური ჩართულობა.

„პროპორციულ ნაწილში რამდენიმე საინტერესო ვარიანტზე ვმუშაობთ, ყველაფერი კვირის ბოლომდე გაირკვევა“

– ეს იმიტომ, რომ ვინმეს ხელი არ წაუცდეს ისევ?

– არა, პოლიტიკური შეფერილობა აღარ უნდა ჰქონდეს. დრომ ხომ დაამტკიცა და ვნახეთ, რომ ხელისუფლებები ცდილობენ, გამოიყენონ ეს ბერკეტი ძალაუფლების შესანარჩუნებლად ან, პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, ძალოვანი სტრუქტურები. ეს რომ გამოვრიცხოთ, უმჯობესია, ერთხელ სამუდამოდ სისტემატურად გავაკეთოთ ეს ჩვენს ქვეყანაში. ამას ალტერნატივა არ აქვს. რატომ გაჩნდა ეს აზრი ახლა, ვერ გეტყვით.

– თქვენ მაინც კონსტრუქციულად საუბრობთ და ამბობთ, რომ ხაზარაძეს, შესაძლოა, ინფორმაცია არ ჰქონდა, მაგრამ რაღაც პოლიტიკურ მიზანსაც ხომ არ ემსახურება?

– ვერ გეტყვით, ეს მათ უნდა ჰკითხოთ. მათ დეკლარირებული აქვთ და ყველას გაცხადებული გვაქვს... არა მგონია, ღია კარის მტვრევა იყოს, იმიტომ, რომ ისედაც გაცხადებული გვაქვს. ბატონი მამუკა მოცლილი ადამიანი არ არის. ის დაკავებული ადამიანია და, არ გამოვრიცხავ, რომ ეს ინფორმაცია არ ჰქონდა, როდესაც ამ განცხადებას აკეთებდა. ჩვენი ხედვა ძალოვან სტრუქტურებთან დაკავშირებით ასეთია.

სასამართლოს რაც შეეხება, აქ საერთოდ ერთობლივად მოვაწერეთ ხელი. მათ შორის „ლელოც“ იყო თავის დროზე ამ რეფორმის მომხრე. სასამართლოსთან და მოსამართლეების არჩევის წესთან დაკავშირებით ჩვენი ხედვა იცის ყველამ.

– რაც შეეხება ჩრდილოვან კაბინეტს, მასზე რას ფიქრობთ, რამდენად დროულია ახლა ჩრდილოვან კაბინეტზე საუბარი?

– გვიან და ადრე არასდროს არაფერია. პოლიტიკური პროცესის ნაწილია ეს. რა თქმა უნდა, მიგვაჩნია, რომ დღევანდელი მოცემულობით შემდეგი ხელისუფლება კოალიციური იქნება. ბუნებრივია ამის კონტურები გამოკვეთილია და ამაზე მსჯელობა არც არასდროს იქნება გვიან და არც არასდროს – ადრე. ახლა იმიტომ გახდა აქტუალური, რომ ბატონმა მამუკამ გააკეთა განცხადება. მგონი, ამაზე საუბარს წინ არაფერი უდგას.

– ეგულისხმობ იმას, რომ როდესაც არ არის მოპოვებული ვადამდელი არჩევნები, ამ რეალობაში რამდენად სწორია?

– გეთანხმებით კითხვის შინაარსში, თუმცა მას წინ არაფერი უდგას. რამდენად აქტუალურია დღეს ეს საკითხი, სხვა ამბავია. გეთანხმებით, რომ ეს უფრო აქტუალური ოქტომბრის არჩევნების შემდეგ გახდება.

– დღეს რა ეტაპზე ხართ ოპოზიცია მოლაპარაკებების პროცესში? აპირებდით საერთო კანდიდატების დასახელებას, გადაგედოთ ცნობილი მოვლენებიდან გამომდინარე, მაგრამ როდისთვის აპირებთ?

– გეთანხმებით, რომ დროში გადაგვედო, თუმცა ძალიან ახლოს ვართ საბოლოო შეთანხმებამდე. პირველ რიგში ეს ეხება დედაქალაქს და შემდეგ გავრცელდება ყველა მუნიციპალიტეტზე. ვფიქრობ, რომ ტრაგიკულმა მოვლენებმა, რომლებიც თბილისში განვითარდა, ეს პროცესი ცოტა შეაფერხა, მაგრამ ამ კვირის ბოლოსთვის სიცხადე იქნება ყველასთვის.

– დასახელდა გვარები – მელია მერობის კანდიდატად, ხოშტარია – საკრებულოს თავმჯდომარის. ეს კონფიგურაცია იქნება?

– არ მინდა, მოვლენებს წინ გავუსწრო, თუმცა, გარწმუნებთ, ძალიან საინტერესო კონფიგურაცია იქნება წარმოდგენილი. იქნება წარმოდგენილი როგორც კანდიდატები, ასევე პროპორციულ ნაწილში სია, რომელსაც ნამდვილად შეუძლია, დაამარცხოს ის რეჟიმი, რომელიც დღეს ბობოქრობს და ბატონობს ჩვენს ქვეყანაში.

– პროპორციულში რას გულისხმობთ, თქვენს პოლიტიკურ ძალას თუ ოპოზიცია გეგმავთ ერთიან სიას?

– რამდენიმე საინტერესო ვარიანტზე მიმდინარეობს მუშაობა. პრეზენტაციაზე გაიგებს ყველა, ვინც ოპოზიციას გულშემატკივრობს. დიდია სურვილი, რომ დღესვე შეიტყონ ეს, მაგრამ ბოდიშს ვუხდი. ძალიან მალე გაიგებთ ყველაფერს.

– საუბრობთ სხვადასხვა პოლიტიკურ ძალასთან და არის თუ არა ოპოზიციის ძირითად ნაწილში თანამშრომლობაზე მზაობა?

– შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ ნამდვილად ასეა. ჩვენ კარგად გვესმის, რამდენად დიდი მნიშვნელობა ექნება ოქტომბერში ჩატარებულ არჩევნებს. ეს არ იქნება ჩვეულებრივი არჩევნები. ბრძოლა მიდის იმაზე, ჩვენი ქვეყანა იქნება თუ არა საერთოდ. ვხედავთ, როგორ არის დაზარალებული ქვეყნის იმიჯი და იმასაც ვხედავთ, რომ მოქალაქეებს დღითი დღე უჭირთ ჩვენს ქვეყანაში ცხოვრება. ერთი სული აქვთ ადამიანებს, დატოვონ ქვეყანა. ქვეყნის მომავალსა და მის შემდგომ არსებობას ექმნება საფრთხე და ეს უნდა გადაწყდეს თვითმმართველობის არჩევნებზე.

ამირან გამყრელიძე: „ვაქცინაციის დაბალი მაჩვენებელი ჩემი და ყველას პასუხისმგებლობაა“

– მე ისრები არავისზე არ გადამაქვს, ვაქცინაციის დაბალი მაჩვენებელი ჩემი, თქვენი, მთავრობისა და ყველას პასუხისმგებლობაა.

ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ განაცხადა. მისი თქმით, ამ პროცესებში ჩართულია არა კონკრეტული ერთი ან ორი ადამიანი, არამედ ყველა.

– აქ არის ერთობლივი ანუ სოლიდარული პასუხისმგებლობა. პანდემია არის ყველაზე კარგი გამოხატულება დღეს გლობალური სოლიდარობის. აქ ერთი ადამიანი, ერთი პრეზიდენტი ან ერთი ხელმძღვანელი ამ საკითხს ვერ წყვეტს, ამას მთლიანად საზოგადოება წყვეტს, – განაცხადა გამყრელიძემ.

მანვე განმარტა, რომ რეგიონები ვაქცინებით საკმარისად მარაგდება, მაგრამ ეს არ არის საკმარისი.

– ვაქცინები რეგიონებში ძალიან ბევრი მიდის, მე თვითონ ჩამოვიარე ყველა, გარდა რაჭა-ლეჩხუმისა და ახლა პაატა დადის, შემდეგ ჩვენი თანამშრომლები და ჩვენი ქსელი ძალიან აქტიურად მუშაობს, მაგრამ, გეთანხმებით, რომ ეს არ არის საკმარისი. კიდევ მეტი გვჭირდება, რომ ადამიანები დავარწმუნოთ. დღევანდელი დღის მონაცემებით, 333 ამცრელი ბრიგადაა გამოყოფილი. ეს არ არის ცოტა. ერთ ბრიგადას დღეში 70 აცრის გაკეთება შეუძლია, – აღნიშნა გამყრელიძემ. გამყრელიძის თქმით, მიზეზი იმისა, თუ რატომ არ მიდის ხალხი ასაცრელად, ბევრია, მათ შორის ის, რომ ხალხს ისევ არ სჯერა კორონავირუსის არსებობის.

– ბევრს ჰგონია, რომ ეს არის ჩვეულებრივი გრიპი, გადაიტანს და ექნება იმუნიტეტი. არ უყურებენ იმას, რომ დღეს ქვეყანაში 26 ადამიანი გარდაიცვალა და ეს საშინელებაა. ამიტომ გამოსავალი აქედან მხოლოდ ერთია – აცრა, რათა ხელოვნური იმუნიტეტი შეიქმნას ქვეყანაში. ადრე ვაქცინა არ არისო, ამბობდნენ, ახლა არის. ის 4 ვაქცინა: „სინოვაკი“, „სინოფარმი“, „ფაიზერი“ და „ასტრაზენეკა“, რომლებიც ქვეყანაში დღეს ადმინისტრირდება, გვიცავს ყველაზე უფრო მძიმე გართულებებისაგან, როგორებიცაა ჰოსპიტალიზაცია, რეანიმაციაში მოხვედრა და სიკვდილი, – აღნიშნა გამყრელიძემ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„რუსეთიდან ტურისტები ყალბი კოვიდპასპორტებით შემოდიან“

სერგო ჩიხლაძე: „ძალიან საგანგაშო სიტუაციაა... სიკვდილიანობის გაზრდა მხოლოდ შტამთან არ არის დაკავშირებული“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს სერგო ჩიხლაძე პასუხობს.

– ბატონო სერგო, როგორია თქვენი შეფასებები ეპიდვითარებასთან დაკავშირებით? საგრძნობლად იმატა შემთხვევებმა, გუშინ 2600-ზე მეტი ახალი შემთხვევა იყო. როგორია თქვენი პროგნოზი? რა შეცდომას უშვებს ხელისუფლება?

– დიახ, ნამდვილად გაზრდილი მაჩვენებელია და ძალიან საგანგაშო სიტუაციაა. ჩვენ, ფაქტობრივად, უკვე მორიგ ტალღაში შევედით. შეცდომებს რაც შეეხება, უპირველესი შეცდომა ის არის, რომ ვაქცინაცია, რომელიც იანვარ-თებერვალში უნდა დაგვეწყო მასობრივად, დღესაც არ არის, სამწუხაროდ, დაგვიანდა. შესყიდვა დაგვიანდა, რაც არის იმის ლოჯისტიკა და მენეჯმენტიც ვერ ხერხდება ეფექტიანად. ამიტომ ეს ისეთი შეცდომაა, რომელსაც, სამწუხაროდ, უკან ვეღარ დავაბრუნებთ. ამას აღარაფერი ეშველება. ამიტომ დღეიდან მართლაც მასობრივი უნდა იყოს ეს პროცესი. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ამას დრო სჭირდება და ასე შემდეგ, უახლოესი რამდენიმე თვე მაინც ვერ გავალთ იმ ნიშნულზე, რომ მოსახლეობის დიდ მოცვაზე ვისაუბროთ. აქ ძალიან დიდი ჩავარდნა გვაქვს უკვე.

– კიდევ ერთი პრობლემაა, არ აქვს მოსახლეობას ნდობა ჩინური ვაქცინისადმი და ყველა ფაიზერს ელოდება.

– ეს ძალიან არასწორია. ეს კიდევ მეორე ჩავარდნაა. ის, რომ ვაქცინები არ შემოვიდა დროულად, მენეჯმენტი ვერ მოახერხა სამინისტრომ, მეორე მნიშვნელოვანი ჩავარდნაა ზუსტად ეს, კომუნიკაციის ნაწილი. ადამიანებს არ მიეწოდათ ინფორმაცია საჭიროებებზე და ასე შემდეგ. კი ვიცი, რომ ფაიზერის ვაქცინა, გარკვეულწილად, ხარისხით სჯობია ჩინურ ვაქცინას, სინოფარმს, მაგრამ მე აცრილი ვარ სინოფარმით, იმიტომ რომ დასაკარგი, არჩევის დრო აღარ არის. პირობითად, 70%-იანი დაცულობა იქნება თუ 80%-იანი, ამას უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს, რადგან სიცოცხლის რისკი დგება. ამას არ გავიკეთებ და იმას გავიკეთებ – ეს მიდგომა არასწორია. წუნიაობას უნდა მოვეშვათ. გასაგებია, რომ ვერც ხარისხიანი შემოიტანა და ვერც ნაკლებ ხარისხიანი, მაგრამ, ის, რაც გვაქვს, მაქსიმალურად უნდა ავითვისოთ. ეს კიდევ ცალკე ჩავარდნაა. ასევე ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია, რომ ხელისუფლება იმავე შეცდომას უშვებს, რომელიც შარშან დაუშვა...

– ბათუმს გულისხმობთ?

– დიახ, ის, რა შეცდომაც შარშან დაუშვა ბათუმში და ასევე ტურისტებთან მიმართებით. მაშინაც ჩვენ გამოვდიოდით ინიციატივით, რომ ქვეყანას მწვანე ქვეყნის სტატუსი ჰქონდა, მთელი ალგორითმი დავუწერეთ და გავუგზავნეთ, თუ როგორ უნდა მომხდარიყო მათი შემოსვლა. ამ მიმართულებით არაფერი გააკეთეს შარშან და ზუსტად იმავე შეცდომას უშვებენ წელსაც.

– სრულიად უკონტროლოდ არიან მიშვებული ტურისტებიო...

– ნამდვილად ასეა. უკონტროლოდ არიან შემოსული, განსაკუთრებით – რუსეთიდან. შემოდიან ყალბი ცნობებით. ყველამ კარგად ვიცით, რომ დაახლოებით 25-დან 50 დოლამდე ღირს რუსეთში ნებისმიერი ყალბი ცნობის აღება. ეს არანაირად არ კონტროლდება. აქედან გამომდინარე, პირველი, რაც უნდა გაკეთდეს, რომ თუნდაც საბუთიანი რომ შემოდის ტურისტი, განსაკუთრებით რუსეთიდან, უნდა იყოს განმეორებითი ვალდებულება, ხდებოდეს აქვე, ადგილზე პისიარი და ასე შემდეგ. როგორ შეიძლება, ამდენი ამბის შემდეგ გამოცდილება ვერ მიიღო და ვერაფერი ისწავლო ვერც საკუთარ შეცდომაზე და ვერც სხვისაზე.

– ეს ხომ არ არის მიზანმიმართული პროცესი? გასაგებია, რომ ბიზნესისა და ეკონომიკის გადასარჩენად გახსნეს ყველაფერი, მაგრამ შემოდგომაზე ეს როგორ მოგვიბრუნდება? თუ აწყობთ, რადგან წინ არჩევნებია?

– ძალიან მძიმე შემოდგომა გვექნება. უკვე მძიმე ივლისი გვაქვს და აგვისტო– სექტემბერი ძალიან მძიმე გვექნება, სამწუხაროდ. ეს უკვე ფაქტია. ახლა ვაქცინაცია სულ რომ რაკეტული სისწრაფით წავიდეს, დღეში სულ რომ 20-20 ათასი ადამიანი ავცრათ, ამას ხომ თავისი დრო სჭირდება. 60%-მდე რომ ავიდეთ, ამას დასჭირდება დრო ნოემბრამდე. ამიტომ აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი, ძალიან მძიმე პერიოდი გველის. მოსახლეობამაც დიდი სიფრთხილე და პასუხისმგებლობა უნდა გამოიჩინოს. ხელისუფლების იმედზე ვერ ვიქნებით. ტიკარაძის იმედზე მით უმეტეს ვერ ვიქნებით. ამიტომ ისევ ჩვენ უნდა მივხედოთ ჩვენს თავს, დროულად უნდა დავრეგისტრირდეთ და ავიცრათ ნებისმიერი ხელმისაწვდომი ვაქცინით, ხალხმრავალ ადგილებში დავიცვათ წესები, პირბადე და ასე შემდეგ. ზოგადად, ვერიდოთ ხალხმრავალ ადგილებს. მოქალაქეებმა ჩვენ თვითონ უნდა ავიღოთ პასუხისმგებლობა საკუთარ ჯანმრთელობაზე, რადგან ვხედავთ, რომ ხელისუფლებამ, ტიკარაძეებმა და მისნაირებმა ამ 17 თვის განმავლობაში ვერც ვერაფერი ისწავლეს, ვერც გამოცდილება შეიძინეს და საერთოდ კომპეტენციაც ვერ აიმაღლეს მინიმალურად. ისევ ჩვენს თავზე უნდა ვიყოთ ორიენტირებული, ავიცრათ ყველანი.

– ამბობენ, რომ ქვეყნის გახსნა აუცილებელი იყო, ეკონომიკა მეტს ვეღარ უძლებდა, მაგრამ რამდენად სწორი იყო ყველანაირი შეზღუდვის მოხსნა, ჯარიმების გაუქმება? ზედმეტად ხომ არ მიუშვეს?

– მიშვებული მანამდეც იყო. ჯარიმების მოხსნაც ცუდი გზავნილი იყო, ნამდვილად არ იყო სწორი გადაწყვეტილება, თუმცა მეორე საკითხია, რამდენად ადეკვატურია ეს ჯარიმები ადამიანის შემოსავლებთან მიმართებით. ჯარიმის ოდენობა უნდა ითვლებოდეს შემოსავლიდან და არა ისე, რომ ადამიანს 400-500 ლარი აქვს ხელფასი და 2000-ლარიან ჯარიმას ახდევინებ. ეს სხვა თემაა, ამას აღარ შევეხები, მაგრამ თვითონ ჯარიმის ასე გაუქმების პრინციპი არასწორი იყო. თუმცა ეს არ არის ერთადერთი პრობლემა, მთავარია, რეგულაცია რამდენად გონივრულია და მეორე – რამდენად შესრულებადია. დილის 5 საათამდე კომენდანტის საათი ნამდვილად მოსახსნელი იყო. ეს, უბრალოდ, ანეკდოტის ჟანრია. თუმცა ის, რომ ხალხმრავალი წვეულებები არ უნდა იმართებოდეს, ქორწილები და ტურისტების შემოსვლაზე რეგულაცია უნდა იყოს, მარტივი და გონივრულია. ამას უნდა აღსრულება და, თუ არ აღასრულე, სულ რომ დრაკონული კანონები შემოვიღოთ, რა მნიშვნელობა აქვს. ტურისტიც უნდა შემოვიდეს, ქვეყანაც უნდა გაიხსნას, მაგრამ ეს გონივრული ქმედებებით უნდა იყოს განპირობებული.

– რამდენად ძვირად დაგვიჯდება ის, რაც დღეს აჭარის რეგიონში ხდება? გაუძლებს ქვეყანა კიდევ ერთ ჩაკეტვას?

– ტოტალურ ჩაკეტვას ეკონომიკა ვერ გაუძლებს. ასეთ ჩაკეტვებს ჩვენზე ასჯერ მდიდარი ქვეყნებიც ერიდებიან. იმათ რესურსი მაინც აქვთ, ჩვენგან განსხვავებით. მთავარი არის ის, ჩაკეტვამდე რომ არ მივიდეს საქმე, ამისთვის რას ვაკეთებთ. ეს მკაცრი შეზღუდვებიც რაღაც პერიოდს ახანგრძლივებს, თორემ თავისთავად პრობლემას ხომ არ აგვარებს. ხომ დავინახეთ, გამოვდივართ ამ შეზღუდვებიდან და ისევ იგივე გვემართება. რატომ? იმიტომ, რომ შეზღუდვებს იყენებს ხელისუფლება, როგორც ძირითად იარაღს, სამწუხაროდ და არა როგორც დამატებითს. მხოლოდ ჩაკეტვა და ადამიანის სახლში ყოფნა შედეგს არ გამოიღებს. ამ პერიოდში უნდა მოემზადოს ხელისუფლება და შესაბამისი ღონისძიებები გაატაროს, რასაც არ აკეთებს. გამოვდივართ ამ ჩაკეტილობიდან და იგივე გვხვდება გარეთ, მოუმზადებელი სისტემა, მოუმზადებელი ქვეყანა, არაკომპეტენტური გადაწყვეტილების მქონე პირები, არა ვაქცინა, არა ტესტი. მთავარია არა შეზღუდვებზე ზრუნვა, არამედ ის, თუ რას ვაკეთებთ, რომ შეზღუდვები არ დაგვჭირდეს. სამწუხაროდ, 17 თვე გავიდა და ვერც კომპეტენცია მოემატა ამ ხალხს, ვგულისხმობ გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, ვერც მენეჯმენტი გაუმჯობესეს და ვერც ლოჯისტიკა. სამწუხაროდ, ვერც თავიანთ შეცდომებზე ისწავლეს და ვერც სხვისაზე.

– ბატონო სერგო, დელტა შტამი აქტიურად უტევს პატარებს. რამდენად მძიმეა სურათი და რას ელით?

– ძალიან ცუდია, რომ ბავშვებზე ასე აქტიურად ვრცელდება. აქამდე მშვიდად ვიყავით, რადგან მოზარდებში იშვიათი იყო. ზუსტად ამიტომ არის საჭირო ვაქცინაცია. ბავშვსაც საიდან გადაედება, თუ არა მშობლისგან. ყველა უნდა ავიცრათ, რომ ნებისმიერი ბავშვის დაინფიცირების შანსი ნაკლები იყოს. აუცილებელია განისაზღვროს ალგორითმი, ვის სახლში ვუვლით და ვის კლინიკაში ვაწვენთ. დღესაც ხშირია შემთხვევები, როდესაც ნაკლებსიმპტომიანს, რომლის სახლში მოვლაც შეიძლება, ჰოსპიტალში ვათავსებთ, მერე ჰოსპიტალი გადავსებულია და, ვისაც მართლა სჭირდება, იმას ვეღარ ვათავსებთ. დღესაც შეცდომების იგივე კასკადი მეორდება, რაც გვქონდა ოქტომბერ-ნოემბერ-დეკემბრის პერიოდში. სისტემა უნდა იყოს გამართული, მაგრამ, მოდით, თავს ნუ მოვიტყუებთ, ისეთი „პროფესიონალებით“, როგორიც ტიკარაძეა ან ისეთი მენეჯმენტის პირობებში, როგორიც ღარიბაშვილს აქვს, არ მაქვს იმედი, რომ რაიმე სახის სისტემას ავაწყობთ.

– თავად ბრძანეთ საუბრის დასაწყისში, რომ ახალ ტალღაში შევაბიჯეთ. რამდენად მძიმე იქნება ამ ტალღის დასასრული?

– სამწუხაროდ, უკვე მძიმეა. ამ ეტაპზეც საკმაოდ მძიმე მიმდინარეობა აქვს. ჩვენ ჯერ არ მივახლოებივართ იმ ციფრებს, რომლებიც გვქონდა ნოემბერ– დეკემბერში, 4-5 ათასი, მაგრამ, ათასამდე შემთხვევაც რომ გვქონდა, ვხედავდით, რომ სიკვდილიანობა დაახლოებით ისეთივე იყო, როგორიც 5 ათასი შემთხვევა რომ გვქონდა, მაშინ. ძალიან მაღალია სიკვდილიანობა. სამწუხაროდ, სტატისტიკური ანალიზიც არ ჩაუტარებიათ, რასთან არის ეს დაკავშირებული. ეს არ არის დაკავშირებული მხოლოდ შტამთან, იმიტომ რომ იგივე შტამია სხვა ქვეყნებში, მაგრამ ასეთი გაზრდილი მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე არ არის. სხვა ფაქტორებთან არის ეს დაკავშირებული და, სამწუხაროდ, არც ამის ანალიზი გაუკეთებიათ, თუ რატომ გვაქვს ასეთი გაზრდილი სიკვდილიანობა. საკმაოდ რთულ ფაზაში შევდივართ, სიკვდილიანობის თითქმის 3-ათასიან ნიშნულს მივუახლოვდით.

გია ვოლსკიმ ლექსო ლაშქარავას ფოტო დახია

„ქართული ოცნების“ დეპუტატმა გია ვოლსკიმ „ტვ პირველის“

გარდაცვლილი ოპერატორის ლექსო ლაშქარავას ფოტო ჟურნალისტს ხელიდან გამოჰგლიჯა და დახია.

ეს მაშინ მოხდა, როდესაც ვოლსკი მთაწმინდაზე კახა კალაძის წარდგენაზე მიდიოდა და ჟურნალისტების ალყაში მოექცა.

– ეს ბიჭი თქვენი არაა, ჩემია, თქვენ ცხედართან უზნეოდ მოცეკვავე ადამიანები ხართ, – მიმართავდა დეპუტატი ჟურნალისტებს.

ეკა ხოფერია: „იმ დღეს ლექსოს უფლებები დაცული არ იყო“

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი ეკა ხოფერია ამბობს, რომ 5-6 ივლისს ჟურნალისტები დაცულები არ ყოფილან.

საჯარო მოხელემ ეს განცხადება მთაწმინდის პარკთან „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატის წარდგენის ღონისძიების დაწყებამდე გააკეთა.

ხოფერია ამბობს, რომ ის მედიის გვერდითაა.

– ლექსო ჩემი კოლეგა იყო, გასვენებაშიც ვიყავი. მე ვუყურებდი, რა ხდებოდა იმ დღეს და ვიზიარებ თქვენს პოზიციას. მომხდარ ფაქტზე ჩემი პოზიცია სოციალურ პლატფორმაზეც გამოვხატე. მე ყოველთვის ჟურნალისტი ვიქნები და ვიქნები იმ პოზიციაზე, რომ ჩვენი უფლებები დაცული უნდა იყოს. იმ დღეს კი ჩვენი უფლებები დაცული არ იყო. ლექსოს უფლებები დაცული არ იყო. ეს არ უნდა მომხდარიყო, – განაცხადა ხოფერიამ.

კითხვაზე, ვისი პასუხისმგებლობაა მომხდარი, საჯარო მოხელე ამბობს, რომ ჟურნალისტებზე მოძალადეები უნდა დაისაჯონ.

– ყველა, ვინც დამნაშავეა იმაში, რაც იმ დღეს მოხდა, ვინც თითი დააკარა ჟურნალისტებს, უკლებლივ ყველამ უნდა აგოს პასუხი, – განაცხადა ხოფერიამ.

მისივე თქმით, ყველა ადამიანს აქვს უფლება, საკუთარი აზრი გამოხატოს.

– ყველა ადამიანს აქვს საკუთარი პოზიციის გამოხატვის უფლება, თუმცა ეს სხვის ცემასა და სხვის ფეხქვეშ გათელვას არ უნდა ნიშნავდეს, – უთხრა მედიას ეკა ხოფერიამ.

მამუკა მდინარაძე: „5 ივლისი არის ჩვენი, ყველას ერთად გამოსაძიებელი“

– 5 ივლისი არის ჩვენი, ყველას ერთად გამოსაძიებელი. ეს არის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის ვალდებულება, ყველა შესაბამისი სახელმწიფო უწყების.

ამის შესახებ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა მამუკა მდინარაძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი თქმით, იმ შემთხვევაში, თუკი ის პირები, რომლებმაც 5 ივლისს ჟურნალისტებზე იძალადეს, არ დაისჯებიან, ყველა ერთად მოსთხოვს პასუხს იმ ორგანოს, რომლის ვალდებულებაცაა საქმის გამოძიება.

– თუ ჩვენ და თქვენ კითხვები დაგვრჩება რომელიმე მოძალადესთან დაკავშირებით, თუკი იქნება ელემენტარული მტკიცებულება მაინც, რომ კონკრეტულ ადამიანებს შორის იყო კავშირი, რაც მათ ორგანიზებაზე მეტყველებს და ეს ადამიანები არ დაისჯებიან, მაშინ თქვენ და მე ერთად მოვთხოვოთ პასუხი იმ ადამიანებს, რომელთა ვალდებულებაცაა და არ გააკეთებენ, – განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

რუსთავის მერობის კანდიდატად „ოცნება“ ნინო ლაცაბიძეს წარადგენს

„ინფო რუსთავისთვის“ ცნობილია, ვინ იქნება „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატი რუსთავში.

პარტია მერობის კანდიდატად ნინო ლაცაბიძეს წარადგენს. წარდგენა რამდენიმე დღეში მოხდება, რის შემდეგაც აქტიური საარჩევნო კამპანია დაიწყება.

ნინო ლაცაბიძე ამჟამად საქართველოს პარლამენტში რუსთავისა და გარდაბნის 10 თემის მაჟორიტარი დეპუტატია.

გამოიყენებს თუ არა საქართველო „ყირიმის პლატფორმას?“

რატომ მოინახულა ზელენსკიმ ენგურის გამყოფი ხაზი

მარიამ მჭედლიშვილი

ბათუმის საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში საქართველოში ჩამოსულმა უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ უკრაინის პარტნიორები და „ასოცირებული ტრიოს“ წევრები, საქართველო და მოლდოვა, „ყირიმის პლატფორმის“ სამიტზე მიიწვია.

იმის გათვალისწინებით, რომ ტერიტორიული მთლიანობა საქართველოსთვის ისეთივე მტკივნეული პრობლემაა, როგორიც უკრაინისა და მოლდოვისთვის, მოგვარების პროცესი კი – თითქმის შეჩერებული, თბილისმა უნდა გამოიყენოს ნებისმიერი მექანიზმი, ტრიბუნა და კერძო კონტაქტი საკითხის აქტუალიზაციისათვის. ამისათვის გამოსადეგია შემოთავაზებული სამიტი.

„ყირიმის პლატფორმის“ პირველი სამიტის გამართვა 23 აგვისტოს იგეგმება. დიდი ალბათობით, საქართველო და მოლდოვა მასში მონაწილეობას მიიღებენ.

პლატფორმაში ჩართვა მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს უკრაინის პრეზიდენტმა პირველად შესთავაზა გაეროს გენერალური ასამბლეის 75-ე სესიაზე, 2020 წლის სექტემბერში.

უკრაინაში მიიჩნევენ, რომ დონბასის კონფლიქტი და ყირიმის დეოკუპაცია ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს.

პლატფორმის მიზანია, შეიქმნას ქვეყნების კოალიცია, რომელიც დაეხმარება უკრაინას ყირიმის ნახევარკუნძულის პოლიტიკური სტატუსის საკითხის მაღალ დონეზე აყვანასა და ყირიმელების უფლებების დაცვაში.

ზელენსკიმ საქართველოში ყოფნისას, შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხების გარდა, აქცენტი გააკეთა საქართველოსა და უკრაინის ტერიტორიულ პრობლემებზე, იქ არსებულ გამყოფ ხაზებზე.

– საქართველოში ჩემი ვიზიტი დაიწყო ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლიდან. ყოველთვე ჩავდივარ აღმოსავლეთ უკრაინაში და ვხედავ მსგავს სიტუაციას. მოლდოველი მეგობრებიც მეუბნებიან, რომ იციან, რა არის ანექსიის საფრთხე. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ჩვენს ტერიტორიებზე მსგავსი ხაზები არ იყოს, – აღნიშნა მან.

საერთაშორისო პარტნიორებთან დეოკუპაციასა და კონფლიქტების მოგვარებაზე თანამშრომლობის გააქტიურებას აპირებს საქართველოს მთავრობაც. ყოველ შემთხვევაში, ამ დღეებში ასეთი სიტყვები ითქვა შესაბამის სამთავრობო კომისიაზე, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა. „დეოკუპაციისა და საქართველოს სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავების“ კომისიამ მუშაობა დაიწყო.

კომისიაში აცხადებენ, რომ სტრატეგიის შემუშავებასა და დეოკუპაციის საკითხებში ჩართავენ არა მხოლოდ ოფიციალურ უწყებებს, არამედ, საზოგადოების წარმომადგენლებს.

კომისიამ შექმნა უწყებათაშორისი ჯგუფი, რომელიც მუშაობს სახელმწიფო სტრატეგიაზე.

კომისიაში განაცხადეს, რომ სტრატეგიაზე მუშაობის პარალელურად წარმართავენ პროცესს საერთაშორისო პარტნიორებთან, რათა შესაძლებელი გახდეს სტრატეგიის ეფექტიანად განხორციელება.

თუ სამთავრობო კომისია მხოლოდ სიტყვებით არ კმაყოფილდება, ხელისუფლებას კი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა გულწრფელად აღელვებს, მაშინ, ის უნდა ჩაერთოს „ყირიმის პლატფორმაშიც“ და სხვა მოედნებშიც.

ყველა კონფლიქტი ინდივიდუალურია, თუმცა იმავე ყირიმის საკითხის გააქტუალურების გამოყენება შესაძლებელია საქართველოს კონფლიქტების წინა პლანზე წამოწევისათვის. სასურველია „ასოცირებული ტრიოს“ ერთობლივი აქტიურობაც.

„ყირიმის პლატფორმის“ იდეას დადებითი შეფასება მისცეს აშშ-მ, თურქეთმა, სხვა ქვეყნებმა. აშშ, თურქეთი, საფრანგეთი, გერმანია და კანადა უკვე მიწვეული არიან 23 აგვისტოს სამიტზე. ამ სახელმწიფოებს დაემატნენ საქართველო და მოლდოვა.

„ყირიმის პლატფორმამ“ უკვე გამოიწვია გაღიზიანება რუსეთში. ზოგიერთმა ექსპერტმა გამოაცხადა, რომ თურქეთი მასში მონაწილეობაზე უარს იტყვის. ეს ნაკლებად სავარაუდოა, იმიტომ, რომ ანკარას არასდროს უღიარებია ყირიმი რუსეთის ნაწილად.

თუ აფხაზეთის საკითხის მოგვარება ფორმალურ დონეზე დარჩა, მალე შეიძლება მივიღოთ აფხაზეთის ფაქტობრივი ანექსია. ოკუპირებულ რესპუბლიკაში უკვე დაწყებულია ეკონომიკური და სოციალური სფეროების ჰარმონიზაცია რუსეთის კანონმდებლობასთან.

„ისრაელიდან აგვისტოს ბოლომდე ათეულობით ჯავშანია გაუქმებული“

საქართველოში სხვადასხვა მიმართულებიდან, მათ შორის ისრაელიდან და ევროპის ქვეყნებიდან ტურისტული ჯავშნები უქმდება. ამის შესახებ BM.GE-ის ტუროპერატორთა ასოციაციის თავმჯდომარე ია თაბაგარმა განუცხადა.

მისი თქმით, ტუროპერატორებისა და სასტუმროების გამოკითხვის შედეგად ბოლო დღეებში, ერთმანეთის მიყოლებით ისრაელიდან ტურისტული ჯავშნები აგვისტოს ბოლომდე გაუქმდა, ამის მთავარი მიზეზი კი ისრაელის მიერ საქართველოს წითელი ქვეყნების სიაში შეყვანა და შესაბამისად, ისრაელის მოქალაქეებისთვის საქართველოდან დაბრუნების შემდეგ ერთკვირიანი კარანტინის გავლის დავალდებულებაა.

– ჩვენი ინფორმაციით, ისრაელიდან ჯერჯერობით ათეულობით ჯავშანია გაუქმებული და თითოეული ჯავშანი შეიძლება 5 ან 10 ადამიანისგან შედგებოდეს. ამის საპასუხოდ ტუროპერატორები ვაცხადებთ, რომ საქართველოს ტურიზმი მრავალფეროვანი ბაზრების უნდა ჰქონდეს, რათა ერთ ქვეყანაზე არ ვიყოთ დამოკიდებულები და ასეთ რთულ ვითარებაში გამოუვალ მდგომარეობაში არ აღმოვჩნდეთ.

ჯავშნების გაუქმების მეორე ფაქტორი უსაფრთხოებაა, რომელზეც ევროპა ალაპარაკდა და რომელიც ჩვენთვის დიდი დარტყმაა, რადგან ისრაელს ძალიან მალე ამ მდგომარეობიდან ჩვეულებრივ მდგომარეობაში გადაყვანა შეუძლია, მაგრამ რაც შეეხება ევროპას, ეს სრულად საქართველოზეა დამოკიდებული – სახელმწიფო სამსახურებზე, კერძო სექტორზე, დონორ ორგანიზაციებზე, დიპლომატებზე. დიდი მნიშვნელობა აქვს რას გავაკეთებთ იმისთვის, რომ ევროპას კიდევ ერთხელ ვუთხრათ, რომ მათიანი ვართ, რაშიც ვგულისხმობ იმას, რომ ჩვენ ადამიანებს არ ვერჩით და ტურისტი აქ არ დაზარალდება. ამაზე დროული და სერიოზული სამუშაოა შესასრულებელი, – განმარტა ია თაბაგარმა.

ტუროპერატორთა ასოციაციის ხელმძღვანელი ჯავშნების გაუქმების 3 მიზეზს ასახელებს: „ისრაელის შემთხვევაში ეს მათი მოქალაქეებისთვის დაწესებული ერთკვირიანი კარანტინია; ევროპის შემთხვევაში უფრო უსაფრთხოების ნაწილი და ზოგადად ჯავშნების გაუქმების მიზეზი არსებული კოვიდვითარებაა. შესაძლოა, საქართველოში ამ მხრივ ვითარება არც ისე მძიმეა, ვიდრე ჩვენს მეზობელ ქვეყნებში, თუმცა იმიჯი გვაქვს ცუდი. ბევრად ცუდი მდგომარეობაა თურქეთში, თუმცა იქ საზღვაო კურორტებზე 1 მლნ ადამიანი ჩავიდა, რადგან კარგი იმიჯი აქვთ“.

ია თაბაგარი ტურიზმის ადმინისტრაციის მხრიდან ჯავშნების გაუქმების გამო დაწყებულ მოკვლევასაც ეხმიანება.

– ძალიან კარგია, რომ ტურიზმის ადმინისტრაციამ დაიწყო გამოკითხვა კერძო სექტორიდან იმაზე, რა არის ჯავშნების გაუქმების მიზეზი, თუმცა კერძო სექტორი ძალიან პასიურობს. კვლევა რამდენიმე დღის წინ კერძო სექტორის მოთხოვნით დაიწყო, იმისთვის რომ დარგს საერთო სურათი სცოდნოდა, რატომ უქმდებოდა ჯავშნები ხშირად კერძო სექტორიდან გვესმის საყვედურები, რატომ არ კეთდება კვლევა ამა თუ იმ მიმართულებით, მაგრამ, როცა ასეთი კვლევა კეთდება, დიდად თავს არ იწუხებენ, – უთხრა BM.GE-ის ტუროპერატორთა ასოციაციის ხელმძღვანელმა.

შეგახსენებთ, ჯავშნების გაუქმების გამო ტურიზმის ადმინისტრაციის გამოკვლევის შესახებ, ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ მარიამ ქვრივიშვილმა პარლამენტში, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის სხდომაზე, ტურიზმის ინდუსტრიაში 2020 წელს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ანგარიშის წარდგენისას ისაუბრა და თქვა, რომ კვლევის მიხედვით გამოკითხულ ბიზნესსუბიექტთა 95%-ს ჯავშნები არ გაუუქმებიათ, ხოლო დანარჩენ 5%-ში ჯავშნების გაუქმების მიზეზი ბოლო დროს განვითარებული მოვლენები არ არის.

ვაქცინების რჩევა-რჩევაში, შესაძლოა, მძიმე გართულებას თავი ვერ ავარიდოთ — დიმიტრი ხუნდაძე

ვაქცინა არის ერთადერთი საშუალება, რომ გართულებები ავიცილოთ თავიდან და ისევ გარდაუვალი ჩაკეტვების გზით არ ვიაროთ, რაც ეკონომიკურად მძიმე მდგომარეობაში აყენებს ქვეყანას, – აღნიშნული განცხადება პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძემ გააკეთა.

მისივე თქმით, ყველა მოქალაქე უნდა აიცრას იმ ვაქცინით, რომელიც ხელმისაწვდომია.

– გლობალურად ეპიდვითარება უარესდება, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც ვაქცინაციის მაჩვენებელი დაბალია. გამონაკლისი არც საქართველოა. ინფექცია ჩვენს გვერდით სერიოზულად ცირკულირებს. მდგომარეობის გაუარესება რეგულაციების არდაცვისა და ვაქცინაციის დაბალი ტემპის ხარჯზე ხდება. ტენდენცია ჰგავს გასული წლის ოქტომბერ-ნოემბრის ვითარებას. აგვისტოში კი შესაძლოა მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდეს. ვაქცინა არის ერთადერთი საშუალება, რომ გართულებები ავიცილოთ თავიდან და ისევ გარდაუვალი ჩაკეტვების გზით არ ვიაროთ, რაც ეკონომიკურად მძიმე მდგომარეობაში აყენებს ქვეყანას. „ფაიზერის“ მოლოდინში ჩინური ვაქცინის აქტუალობა დაეცა და რეგისტრაცია კლებადი ხასიათისაა. ჩვენ თუ ვირჩევთ რომელიმე ვაქცინას და ველოდებით მას, შესაძლოა, ამ ლოდინში რეანიმაციულ საწოლზე აღმოვჩნდეთ. ყველა ვაქცინა იცავს მძიმე გართულებისგან: ჰოსპიტალიზაცია, რეანიმაცია, გარდაცვალება. ავიცრათ რაც შეიძლება სწრაფად და იმ ვაქცინით, რომელიც ხელთ გვაქვს, – განაცხადა დიმიტრი ხუნდაძემ. შეგახსენებთ, ამ დროისთვის საქართველოში ხელმისაწვდომია „სინოფარმის“, „სინოვაკისა“ და „ასტრაზენეკას“ ვაქცინები.

დღეისთვის ორჯერადად აცრილია 132.207 ადამიანი

20 ივლისის მონაცემებით, ჯამურად ჩატარდა 368.179 აცრა. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, სრულად ვაქცინირებულია 132.207 ადამიანი. აცრისთვის ჯავშნის გასაკეთებლად მოქალაქეებს შეუძლიათ ეწვიონ booking.moh.gov.ge-ს ან დარეკონ ნომერზე 1522.

რაც შეეხება ვაქცინების მარაგს, ამ საკითხზე განცხადება NCDC-ს ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ გააკეთა.

– დღეს ქვეყანაში გვაქვს 1.5 მლნ დოზა ვაქცინა. ნახევარი მლნ არის „სინოფარმი“, რომელსაც ალბათ 80 ათასამდე დოზა დააკლდა, რადგან ადამიანები უკვე აიცრნენ და მილიონი დოზა „სინოვაკი“, ამის ზემოთ არის კიდევ 43 ათასი დოზა „ასტრაზენეკას“ ვაქცინა და მას ვიყენებთ მეორე დოზებზე“, – განაცხადა ამირან გამყრელიძემ და დასძინა, რომ ქვეყანა ვაქცინებს „კოვაქს-პლატფორმისგან“ და თავად „ფაიზერისგან“ ელოდება.

„რეგულაციები რომ სრულდებოდეს, დღეს 2600-ზე მეტი შემთხვევა არ გვექნებოდა“

რეგულაციები რომ სრულდებოდეს, დღეს 2600-ზე მეტი შემთხვევა ნამდვილად არ გვექნებოდა – დამრღვევის პასუხისმგებლობა არ არის მხოლოდ ის, რომ ჯარიმა გადაიხადოს და მერე მშვიდი სინდისით გააგრძელოს გართობა, – ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე თამარ გაბუნიამ უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

მისი თქმით, მონიტორინგი მნიშვნელოვანია და სახელმწიფო ინსტიტუციები მათი შესაძლებლობის ფარგლებში ამ მონიტორინგს ახორციელებენ.

– ის რეგულაციები, რომლებიც დღეს ფურცელზეა განსაზღვრული და, როგორც კანონმდებლობა მოითხოვს, ის რომ სრულდებოდეს, დღეს 2600-ზე მეტი შემთხვევა ნამდვილად არ გვექნებოდა. პასუხისმგებლობა ამ შემთხვევაში არის გაზიარებული. მონიტორინგი მნიშვნელოვანია და სახელმწიფო ინსტიტუციები მათი შესაძლებლობის ფარგლებში ამ მონიტორინგს ახორციელებენ, თუმცა დამრღვევის პასუხისმგებლობა არ არის მხოლოდ ის, რომ ჯარიმა გადაიხადოს და მერე ამით მშვიდი სინდისით გააგრძელოს გართობა. ეს ძალიან სერიოზული პრობლემაა და აქ სამოქალაქო პასუხისმგებლობა სამთავრობო სექტორთან თუ არ გაზიარდა, ვიქნებით მუდმივად ამგვარ რთულ მდგომარეობაში. რა თქმა უნდა, რეგიონებში რთული მდგომარეობაა და არც ვაქცინაციის პროგრამა არ არის აქტიური, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ძალიან ბევრი დაწესებულება მზად არის, რომ მივიდეთ და ავიცრათ, – განაცხადა გაბუნიამ.

ხობში მანქანა ბოძს დაეჯახა და სახლის ეზოში შევარდა

1 ადამიანი დაიღუპა

გუშინ, 20 ივლისს, ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველ მაისში ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა.

შემთხვევის შედეგად ერთი პირი გარდაიცვალა, ერთი კი დაშავდა.

არსებული ინფორმაციით, მაღალი სიჩქარით მოძრავი დისტრიბუციის მანქანის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა, სავალი ნაწილიდან გადავიდა, ბოძს შეეჯახა და ერთ-ერთი სახლის ეზოში შევარდა.

დაშავებული პირი სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადამ კლინიკაში გადაიყვანა. ექიმების შეფასებით, მისი მდგომარეობა მძიმეა.

შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიცია.

კომერციული ბანკების წმინდა მოგებამ 1 მილიარდ ლარს გადააჭარბა

2021 წლის ივნისში კომერციული ბანკები რეკორდულ მოგებაზე გავიდნენ.

მხოლოდ ერთ თვეში საფინანსო ბაზრის მსხვილმა მოთამაშეებმა 294.628 მლნ ლარის წმინდა მოგება მიიღეს, ეს კი თითქმის 114%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. შარშან ივნისში ბანკების წმინდა მოგება იყო 137.789 მლნ ლარი. რაც შეეხება 6 თვის მაჩვენებელს, ეროვნული ბანკის ვებგვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, 2021 წლის იანვარ-ივნისში ბანკების წმინდა მოგებამ 1.059.623. 000 ლარი შეადგინა.

2021 წელს მიღებული წმინდა მოგება თვეების მიხედვით:

იანვარი – 113.368 მლნ ლარი
თებერვალი – 132.115 მლნ ლარი
მარტი – 166.324 მლნ ლარი
აპრილი – 173.071 მლნ ლარი
მაისი – 180.117 მლნ ლარი
ივნისი – 294.628 მლნ ლარი

ცნობისთვის, გასულ წელს კომერციული ბანკების წმინდა მოგებამ 99.262 მლნ ლარი შეადგინა. ეს იყო მოგების ყველაზე მცირე მაჩვენებელი, რაც ბანკებს ბოლო წლებში ჰქონდათ მიღებული. ამის მიზეზი კი კორონავირუსის პანდემიის პირველი თვე იყო, როდესაც ბანკებს სესხების მასობრივი გადავადება მოუწიათ. შესაბამისად, 2020 წლის მარტში ბანკები 943.130-მილიონიან ზარალზე გავიდნენ. თუმცა მას შემდეგ კომერციული ბანკები წაგებაზე არ გასულან.

ივნისის მდგომარეობით, ბაზარზე 15 კომერციული ბანკი ოპერირებდა.

გარდაცვლილი ბესიკ თორდუას ადვოკატმა დაზარალებულის სტატუსის მინიჭება მოითხოვა

26 წლის ყაზახი აისელ აიტპაევას გაუპატიურებაში ბრალდებულ ბესიკ თორდუას ადვოკატმა ლაშა შუკაკიძემ დაზარალებულის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით გენერალურ პროკურატურას მიმართა.

პროკურატურაში განცხადების შეტანის შემდეგ მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ უკვე რამდენიმე დღე გავიდა, რაც ბესიკ თორდუა კლინიკაში გარდაიცვალა, თუმცა გარდაცვლილის ოჯახს დაზარალებულის სტატუსი ამ დრომდე არ აქვს.

– პროკურატურას მივმართეთ განცხადებით, რათა ბესიკ თორდუას გარდაცვალების საქმეზე დაუყოვნებლივ გვცნონ დაზარალებულად. იმის მიუხედავად, რომ დიდი დრო გავიდა გარდაცვალებიდან, პროკურატურამ დაზარალებულად არ გვცნო. ჩვენ სრული წვდომა არ გვაქვს მასალებთან, არ გვაქვს შესაძლებლობა, რომ გავეცნოთ იმას თუ რა ქმედებები განახორციელა პროკურატურამ და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა. ეს საქმე კანონდარღვევით დაიწყო, ჩვენ მიმართ დროული შეტყობინებაც არ განხორციელდა, ასევე ექსპერტიზაც ჩუმად ჩაატარეს. ვხედავ უკვე, რომ პროკურატურა და სასჯელაღსრულება ცდილობენ, დამალონ ფაქტები, გარემოებები და გააქრონ მტკიცებულებები. აქედან გამომდინარე, მოვუწოდებ, რომ დროულად ჩაგვრთონ საქმეში, მოგვცენ შესაბამისი სტატუსი და მხარე გვცნონ დაზარალებულად, – განაცხადა ადვოკატმა.

26 წლის ყაზახი აისელ აიტპაევას გაუპატიურებაში ბრალდებული ბესიკ თორდუა კლინიკაში რამდენიმე დღის წინ გარდაიცვალა.

26 წლის ყაზახმა ქალმა სიცოცხლე თვითმკვლელობით 5 მაისს დაასრულა. მომხდართან დაკავშირებით სამართალდამცავებმა საქართველოში ბესიკ თორდუა დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 115-ე მუხლის პირველი ნაწილით (გაუპატიურება, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია და თვითმკვლელობამდე მიყვანა, მსხვერპლისადმი მუქარით მისი პატივის და ღირსების სისტემატური დამცირებით) წარედგინა.

ამასთან, პროკურატურამ გაუპატიურების ორი ეპიზოდის ფაქტზე ბრალი დაუსწრებლად წარუდგინა გარდაცვლილი ქალის ნათესავს, მურატ მეირბეკოვს. ის გარდაცვლილი ქალის დედის საჩივრის საფუძველზე ყაზახეთში დააკავეს, თუმცა, ყაზახეთის პროკურატურის მიერ დაკავებულს ამ ეტაპზე ტრეფიკინგის ბრალდება აქვს წარდგენილი.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატმა დიმიტრი გვრიტიშვილმა კანდიდატურა მოხსნა

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატმა დიმიტრი გვრიტიშვილმა საკუთარი კანდიდატურა მოხსნა.

რა გახდა კანდიდატურის მოხსნის მიზეზი, დეტალები უცნობია.

დიმიტრი გვრიტიშვილმა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის თანამდებობაზე განაცხადი უკან რამდენიმე დღის წინ გაიტანა, თუმცა მან გასაუბრება მიმდინარე თვის დასაწყისში გაიარა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში. საბჭომ გვრიტიშვილის ნაცვლად კი გენადი მაკარიძის კანდიდატურას დაუჭირა მხარი.

ამ ეტაპზე დიმიტრი გვრიტიშვილი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობას იკავებს.

დიდი ოდენობით უაქციზო საქონლის შენახვა-გადაზიდვის ფაქტზე 1 პირი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე შენახვა-გადაზიდვის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს.

უწყების ცნობით, ჩხრეკის შედეგად, ამოღებულ იქნა სარეალიზაციოდ განკუთვნილი 800 ცალი „PUFF“-ის ფირმის ნიკოტინის შემცველი უაქციზო ელექტროსიგარეტი, რომლის საბაზრო ღირებულება შეადგენს 16. 000 ლარს.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლის მე-3 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 8 წლამდე ვადით.

მაია ცქიტიშვილის მიერ დანიშნულ გრიგოლ მანდარიას სუსი დააკავებს?

სუსში დიდ კორუფციულ სკანდალზე დაკითხვების სერია გუშინ, 20 ივლისს, დილიდან განახლდა. საქმე ეხება გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დაკავებულ თანამშრომლებს.

მივა თუ არა კვალი მაია ცქიტიშვილის დანიშნულ გრიგოლ მანდარიამდე, რომელიც წყალმომარაგების კომპანიის დირექტორობიდან 2 თვის წინ გადადგა? – კორუფციული სკანდალი მანდარიას მმართველების პერიოდს ეხება.

გრიგოლ მანდარია თანამდებობაზე 2020 წლის 7 იანვარს დაინიშნა და მან ამ პოსტზე ეკატერინე გალდავა შეცვალა.

– უმჯობესი იქნება, გიგა მანდარიამ გააგრძელოს საქმიანობა წყლის კომპანიის ხელმძღვანელის პოზიციაზე, ხოლო ეკა გალდავასთან გავაგრძელებთ თანამშრომლობას სამინისტროს ფარგლებში, – აღნიშნა მაშინ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა.

დაკავებულები ბრალს არ აღიარებენ. დაკავებული თანამშრომლის, ირაკლი სირაძის ადვოკატი ამბობს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფის წინააღმდეგ მტკიცებულება არ არსებობს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ რეგიონებში წყალმომარაგების ქსელის მოსაწყობად გამოცხადებული ტენდერებიდან, ხალხის ფულის 2% ბიზნესს ჩინოვნიკებთან მიჰქონდა. მიდიოდა თუ არა ფული ერთ-ერთი ყველაზე დიდი სახელმწიფო კომპანიის დირექტორთან, ჯერ არ არის ცნობილი.

19 ივლისს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლები წყალმომარაგების კომპანიაში შევიდნენ. ხელბორკილები საკუთარ კაბინეტში დაადეს ირაკლი სირაძეს, ალექსანდრე პატეიშვილსა და მიხეილ ჭაბაშვილს.

დაკავებულები წინასწარი მოთავსების იზოლატორში იმყოფებიან. მათ გამოძიება 338-ე და 339-ე მუხლებს ედავება, რაც წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ქრთამის აღებასა და უკანონო ქმედების ჩასადენად ქრთამის მიცემას გულისხმობს.

პოლიციამ ქურდულ სამყაროსთან კავშირისთვის 8 პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად ჩატარებული კომპლექსური ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, თბილისსა და მარნეულში 8 პირი დააკავეს.

ყველა მათგანი: 1969 წელს დაბადებული პ. გ. (მეტსახელად „პალიკო“), 1980 წელს დაბადებული ზ. გ. (მეტსახელად „მუხო“), 1964 წელს დაბადებული ჯ. გ. (მეტსახელად „ჯამა“), 1995 წელს დაბადებული ვ. გ., 1983 წელს დაბადებული დ. დ., 1991 წელს დაბადებული დ. ა., 1983 წელს დაბადებული ვ. გ. (მეტსახელად „ლაპუხა“), 1963 წელს დაბადებული ა. ო. „ქურდული სამყაროს“ წევრობის, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერის, „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის მიმართვის ბრალდებით არის დაკავებული.

დანაშაულები 3-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ერთ-ერთ მოქალაქეს ბრალდებულ ა.ო.-სთან პროცენტიან სესხთან დაკავშირებით ფინანსური დავა წარმოექმნა.

ა.ო., სადავო საკითხის „ქურდული წესების“ შესაბამისად განხილვისა და დავის თავის სასარგებლოდ გადაწყვეტის მიზნით, ერთ-ერთი ბრალდებულის – დ.ა.-ს მეშვეობით დაუკავშირდა „ქურდული სამყაროს“ წევრებს, ასევე – ბრალდებულებს. აღნიშნულმა პირებმა ა.ო.-ს საკუთარი მატერიალური სარგებლის მიღების სანაცვლოდ დახმარება აღუთქვეს.

ბრალდებულებმა 2021 წლის აპრილსა და მარტში, თბილისში, ერთ-ერთ უბანში მდებარე საცხოვრებელ სახლში ფინანსური დავის „ქურდული წესით“ გარჩევა მოაწყვეს.

დავის „ქურდული წესით“ გარჩევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, დაზარალებული მოვალისგან – ა.ო.-სგან სადავო თანხას – 26 ათას აშშ დოლარს ვერ მიიღებდა, რადგან მისი საქმიანობა „ქურდული სამყაროს“ წესებს არ შეესაბამებოდა.

პოლიციამ, ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო კომპიუტერული ტექნიკა და ბრალდებულების მობილური ტელეფონები, რომელთა საშუალებითაც ისინი „ქურდული შეხვედრების“ ორგანიზებისთვის ერთმანეთს უკავშირდებოდნენ.

„ქურდული სამყაროს“ წევრობის, „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის მიმართვის და „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით, 223-ე მე-3 პრიმა მუხლის მეორე ნაწილით და 223-ე მე-4 პრიმა მუხლის პირველი ნაწილებით მიმდინარეობს.

„ტვ პირველის“ ოპერატორზე ძალადობის ფაქტზე კიდევ 1 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ძალადობის მუქარით, უკანონოდ ხელის შეშლის, ძალადობითა და ძალადობის მუქარით დევნის და ჯგუფურად ჩადენილ ძალადობის ფაქტებზე კიდევ ერთი პირი – 2000 წელს დაბადებული ი.წ. დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ი.წ.-მ მიმდინარე წლის 5 ივლისს, თბილისში, რუსთაველის გამზირზე, „თბილისი პრაიდის“ საწინააღმდეგოდ გამართული აქციის მიმდინარეობის დროს, რევაზ თაბუკაშვილისა და გიორგი ჭანტურიას ქუჩების კვეთაზე, „ტვ პირველის“ ოპერატორს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

ამავე ფაქტზე, სამართალდამცველებმა, 2 პირი დააკავეს – 14 ივლისს, 1988 წელს დაბადებული ვ.ბ., ხოლო 17 ივლისს 1997 წელს დაბადებული ნ.გ., ბრალდებულებმა „ტვ პირველის“ ოპერატორს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 156-ე მუხლის მე -2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს.

5-6 ივლისს გამართული აქციების მიმდინარეობის დროს ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ძალადობის მუქარით, უკანონოდ ხელის შეშლის, ძალადობითა და ძალადობის მუქარით დევნის, ასევე, ჯგუფური ძალადობის ფაქტებზე სულ დაკავებულია 26 პირი, კერძოდ:

ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში ძალადობის მუქარით, უკანონოდ ხელის შეშლის, ჯგუფური ძალადობის და ძალადობის მუქარით დევნის ფაქტებზე დაკავდა 22 პირი;

„თბილისი პრაიდის“ ოფისის დარბევისთვის, ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობის, ძალადობით ან ძალადობის მუქარით დევნის, ასევე, ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის ჯგუფურად დარღვევის ფაქტზე დაკავებულია 3 პირი; 1 პირი კი პოლიციამ მოქალაქის მიმართ ჩადენილი ძალადობისთვის დააკავა.

დანაშაულში მონაწილე სხვა პირთა დადგენა-დაკავების მიზნით გრძელდება საგამოძიებო-ოპერატიული ღონისძიებები.

თბილისში ფეხბურთის მწვრთნელი 7-8 წლის ბიჭებზე სექსუალურად ძალადობდა

თბილისში ფეხბურთის მწვრთნელი 7-8 წლის ბიჭებზე სექსუალურად ძალადობდა. საქმეში არაერთი არასრულწლოვანი ფიგურირებს, პედოფილიაში მხილებული ფეხბურთის მწვრთნელი კი უკვე 8-წლიან სასჯელს იხდის.

საუბარია ერთ-ერთი საფეხბურთო გუნდის მწვრთნელზე, რომელიც 7-დან 10 წლამდე ბავშვებთან სქესობრივი კავშირის დამყარებისა და გარყვნილი ქმედების ბრალდებით გაასამართლეს.

როდესაც ამბავი გამოაშკარავდა, ეს ბავშვები 14-დან 16 წლამდე ასაკის იყვნენ. მათ მიმართ სექსუალური ძალადობა მოხდა მაშინ, როცა ისინი 7-8 წლისანი იყვნენ.

10-11 წლის ასაკში ეს ქმედებები შეწყდა, მაგრამ ბავშვები დიდხანს მალავდნენ მომხდარს. დანაშაული გაუხსნელი დარჩებოდა, მაგრამ ერთ-ერთი დაზარალებული ბავშვის მშობლებმა გადაწყვიტეს, რომ მათი უმცროსი ბიჭიც მიეყვანათ იმავე ფეხბურთის მწვრთნელთან, რასაც უფროსი შვილის კატეგორიული წინააღმდეგობა მოჰყვა. როდესაც მშობლები დაინტერესდნენ მიზეზით, ბავშვი უკვე იძულებული გახდა, რომ ეთქვა, – როდესაც პატარა ვიყავი, ასეთ რაღაცას მიკეთებდაო – ფეხბურთის მწვრთნელი მას აყურებინებდა სხვა ბავშვებთან სქესობრივ კავშირს, უშუალოდ მასთან კი ორალური სქესობრივი კავშირი ჰქონდა.

მწვრთნელი ამ ყველაფერს ტელეფონით იწერდა. სავარაუდოდ, ბავშვების დასაშანტაჟებლად.

როდესაც ეს ბავშვი იძულებული გახდა, ოჯახში გაემხილა მომხდარი, მისი ახლობელი მივიდა ამ მწვრთნელთან და ყელში დანა გამოუსვა. ეს პიროვნება გადარჩა, თუმცა დააკავეს და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.

ბრალდებულმა მოსამართლის წინაშე დანაშაული აღიარა, მაგრამ ამბობდა – მე მათზე იმხელა ამაგი მაქვს, ამ ყველაფერს არ ვიმსახურებო.

ბრალდებულს ჩაუტარდა ფსიქიატრიული ექსპერტიზა, აღმოჩნდა, რომ ის სავსებით გაცნობიერებულად მოქმედებდა და სრულიად შერაცხადი იყო, თუმცა ამბობდა, მე ამ ბავშვებს ზედ გადავყევი და მადლობა ასე უნდა გადამიხადონო?!

ის ბავშვებს ეუბნებოდა, ეს არის რიტუალი და, თუ გინდა, გახდე კარგი ფეხბურთელი, ეს უნდა გააკეთოო, მათაც სჯეროდათ, რომ ეს იყო გუნდში მიღების რაღაც რიტუალი და მათი წარმატებული საფეხბურთო კარიერის გასაღები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების ვაქცინაციის პროცესი აქტიურად გრძელდება

შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის თანამშრომლების კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო მასობრივი ვაქცინაციის პროცესი კვლავ აქტიურად მიმდინარეობს. შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, მომსახურების სააგენტოსა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ის თანამშრომლებს ვაქცინაცია აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალურ საუნივერსიტეტო კლინიკაში ჩაუტარდათ. ვაქცინაციის პროცესს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანდაცვის სამსახურისა და სისტემაში დასაქმებული ექიმები ახორციელებენ.

ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალურ საუნივერსიტეტო კლინიკაში სამინისტროს თანამშრომლების ვაქცინაციისთვის ხუთი კაბინეტია მოწყობილი. კაბინეტები აღჭურვილია შესაბამისი სამედიცინო საშუალებებით, რაც სრულად უზრუნველყოფს ვაქცინაციის პროცესისა და მისი შემდგომი პერიოდის მეთვალყურეობის უსაფრთხო გარემოში ჩატარებას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს შეუძლიათ, კვირის ნებისმიერ დღეს, წინასწარი რეგისტრაციის გარეშე აიცრან როგორც „სინოვაკის“, ასევე, „სინოფარმის“ ვაქცინით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების „COVID-19„-ის საწინააღმდეგო მასობრივი ვაქცინაციის პროცესი მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს.

ამ ეტაპზე, სამინისტროს 10 ათასზე მეტი თანამშრომელი უკვე ვაქცინირებულია.

სომხეთის მოქმედი თავდაცვის მინისტრი თანამდებობას ტოვებს

სომხეთის თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ვაგარშაკ ჰარუთიანიანი თანამდებობას ტოვებს.

თავდაცვის მინისტრად შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, გენერალ-მაიორი არშაკ კარაპეტიანი დაინიშნება.

ვაგარშაკ ჰარუთიანიანმა თავდაცვის მინისტრის თანამდებობა 2020 წლის ნოემბერში დაიკავა.

ტიხანოვსკაია ბლინკენს შეხვდა

ბელარუსის ოპოზიციის ლიდერი სვეტლანა ტიხანოვსკაია შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივან ენტონი ბლინკენს შეხვდა.

შეხვედრაზე, რომელიც შტატებში გაიმართა, მხარეებმა ბელარუსში არსებული ვითარება და რეჟიმის მიერ ოპონენტების დევნა განიხილეს.

ამასთან ერთად, ტიხანოვსკაიამ შტატებს ბელარუსის დამოუკიდებელი მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების დახმარების გაძლიერებისკენ მოუწოდა.

რუსეთი და უზბეკეთი ავღანეთის საზღვართან ერთობლივ სამხედრო წვრთნებს ჩაატარებენ

რუსეთი და უზბეკეთი უზბეკეთში, ავღანეთის საზღვართან ახლოს, ერთობლივ სამხედრო წვრთნებს ჩაატარებენ.

წვრთნები 30 ივლისიდან 10 აგვისტომდე სურხანდარიის ოლქში გაიმართება და მასში 15.000-მდე სამხედრო ჩაერთვება.

ამასთან, რუსეთის შეიარაღებულ ძალებში განაცხადეს, რომ რუსეთი, უზბეკეთი და ტაჯიკეთი 5-10 აგვისტოს ტაჯიკეთში, ავღანეთის საზღვრიდან 20 კილომეტრში სამხედრო წვრთნებს ჩაატარებენ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

პატიმრებმა ციხიდან მასობრივი გაქცევა მარილისა და წიწაკის დახმარებით მოაწყვეს

ინდოეთში შვიდმა პატიმარმა ციხიდან მასობრივი გაქცევა მარილისა და წიწაკის გამოყენებით მოაწყო.

აღნიშნული ინციდენტი ინდოეთის არუნაჩალ-პრადეშის შტატის ერთ-ერთ ციხეში მოხდა. როდესაც პატიმრები საკნებიდან სადილისთვის გამოუშვეს, ისინი მცველებს თავს დაესხნენ და სახეში შავი წიწაკის, ჩილისა და მარილის ნაზავი შეაყარეს.

შედეგად შვიდმა პატიმარმა გაქცევა მოახერხა. როგორც ციხის ადმინისტრაცია აცხადებს, გაქცეულების ვინაობა დადგენილია და მათზე სამძებრო სამუშაოები მიმდინარეობს. აღმოსავლეთ სიანგის ოლქის ყველა რაიონი პოლიციის აღყაშია მოქცეული.

თავდასხმის დროს ციხის ერთ-ერთმა თანამშრომელმა თავის არეში საკეტის გასაღებების აცმის დარტყმა მიიღო და მძიმე მდგომარეობაში საავადმყოფოშია მოთავსებული. სულ ინციდენტის დროს ხუთი ზედამხედველი დაშავდა.

ქალი კბილის ექიმის კაბინეტში შეიჭრა და პაციენტს 13 კბილი ამოუღო

ამერიკის ნევადის შტატის მკვიდრი ქალი იმის გამო დააპატიმრეს, რომ კბილის ექიმის კაბინეტში შეიჭრა და მის პაციენტს 13 კბილი ამოაგლიჯა.

საავადმყოფოს ყოფილმა თანამშრომელმა, 42 წლის ლორელ ეიკმა, რომელიც თავად არ არის დანტისტი, პოლიციას უამბო, რომ პაციენტს 13 კბილი ამოუღო. მან გამოიყენა ის ტკივილგამაყუჩებელი, რომელიც მანამდე მისმა დამსაქმებელმა ჩამოწერა.

მეორე დღეს ის კბილის ექიმის კაბინეტში შეიჭრა და გაიტაცა 22,8 ათასი დოლარი. როდესაც პოლიციელები შემთხვევის ადგილზე მივიდნენ, აღმოაჩინეს, რომ ფანჯარა – ჩამსხვრეული, ხოლო კარი გაღებული იყო.

პოლიციამ ეიკს ქურდობის ორ ეპიზოდზე, დანაშაულებრივ გარიგებაზე, დიდი ოდენობით ქონების დატაცებასა და ლიცენზიის გარეშე ქირურგიულ ჩარევაზე წაუყენა ბრალი. უცნობია, თუ რატომ ამოაგლიჯა პაციენტს კბილები და სად წაიღო ისინი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ფრანსისკო ფრანკო

ნამდვილი ამბავი

ესპანეთის პრეზიდენტმა ფრანკომ ფეხბურთელებს აუკრძალა საბჭოთა ფეხბურთელებთან თამაში მოსკოვში ევროპის მე-10 საფეხბურთო ჩემპიონატზე. ტელევიზორში უნახავს ბარქაიას, მესხისა და მეტრეველის თამაში და უთქვამს, ჩვენი ფეხბურთელები ამათი დამჭერები არ არიანო და ფეხბურთელები არ გაუშვია მოსკოვში. წაგების შემთხვევაში ფრანკოს ავტორიტეტი საბოლოოდ დაეცემოდა. ის გაუფრთხილდა თავის სახელს და ფეხბურთელები თვითმფრინავიდან ჩამოსვა. ამას უეფასა და ფიფაში დიდი უსიამოვნება მოჰყვა და ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია სოლიდური თანხით დააჯარიმა. ფრანკო ულამაზესი კაცი იყო. მის სურათს ამ წერილში ვაქვეყნებ. მაშინ ესპანეთის ნაკრებში ლეგენდა ფეხბურთელი დისტეფანო თამაშობდა. ამ ამბის შემდეგ გაბრაზებული დისტეფანო არგენტინაში გაემგზავრა. როცა საბჭოთა ნაკრები არგენტინას ეწვია, მიშა მესხმა არგენტინის უძლიერესი დამცველი სიმონესი ჩიკორივით ატრიალა. მაშინ დისტეფანო მიშა მესხს ჩაეხუტა თავისი ფინტების გამო. დისტეფანო უაღრესად კულტურული და განათლებული კაცი იყო, 4 უცხო ენა იცოდა. არგენტინაში მას დიდ პატივს სცემდნენ და უყვარდათ.

ყველა ქართველი ფეხბურთელი მიყვარს – კუხრია სიხარულიძე, ვოვა ელოშვილი, მიხეილ კეკელიძე, ანდრო კიკაბიძე, ზაურ კალოევი, კუკური გოგლიძე, მიშა მესხი, რეზო გუდაძე, ჟორა სხირტლაძე, საშა ჩივაძე, ვოვა გუცაევი, მურთაზ დაუშვილი და სხვა მრავალი კარგი ხალხი და სპორტსმენი ცხოვრობს ნახალოვკაში, ვენაცვალე მთელ ნახალოვკას. ერთმა უზრდელმა კაცმა მითხრა, რა გააჭირე საქმე შენი ნახალოვკითო. მე ვუთხარი, შე უწიგნურო, ნახალოვკა არის საქართველოს გეომეტრიული ცენტრი, თუ არ გჯერა, წადი საჯარო ბიბლიოთეკაში და წაიკითხე ნახალოვკის ისტორია-მეთქი.

მოკლედ და კონკრეტულად, ჩემი ქართველი ხალხი ძალიან მიყვარს – კარგიც და ცუდიც. ღმერთმა ამრავლოს ჩვენი ერი. ყველას ჯანმრთელობას გისურვებთ. ფეხბურთი ჩემი გულის ნაწილია. მე და მიშა ერთ ქუჩაზე ვცხოვრობდით. იანვარში 85-ის ვხდებით მე და მიშა.

ფეხბურთში ორი წიგნის ავტორი ირაკლი იბო დოლიძე

როგორ გახდა ციხიდან გამოსული პაოლო როსი საუკეთესო ბომბარდირი

ევროპის ჩემპიონატი პანდემიას რომ არ გადაედო, თავის დროზე რომ ჩატარებულიყო და იტალიას მოეგო, პაოლო როსი საკუთარი ქვეყნის მორიგ ტიტულს ნახავდა, თუმცა მე-20 საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდი ამას ვერ მოესწრო და გასული წლის დეკემბერში გარდაიცვალა.

იტალიის ნაკრებს ახლახან დასრულებულ ევროპის ჩემპიონატზე მართლაც კარგი გუნდი ჰყავდა და დამსახურებულად მოიგო ევროპირველობა, თუმცა იტალიელებმა 1982 წლის ნაკრები გაიხსენეს და აღნიშნავენ, რომ გუნდს აკლდა ისეთი გამტანი ფორვარდი, როგორიც როსი იყო.

ჯერ კიდევ 15 წლის როსის აღარ სჭირდებოდა კლუბის ძებნა, რადგან უკვე ტურინის იუვენტუსის მაისურს იცვამდა. თუმცა იუვეში პირველი ცდა წარმატებით არ დასრულებულა – ტრავმებით გაიტანჯა. საბოლოო ჯამში, 3 ოპერაცია გაუკეთდა. ერთი ფეხიდან 2 ძარღვი ამოუღეს, ხოლო მეორიდან – 1. მისი მომავალი ბურუსში გაეხვია.

19 წლის როსი კომოში გაანათხოვრეს. თუმცა ის მხოლოდ 6 მატჩში გავიდა მოედანზე, მაგრამ მნიშვნელოვანი არაფერი გაუკეთებია.

ერთადერთი ადამიანი, რომელიც ინარჩუნებდა რწმენას მისდამი, მამამისი იყო. მომავალში პაოლო არაერთხელ იტყვის, რომ სწორედ ეს ფაქტორი დაეხმარა, გაეგრძელებინა საკუთარი ბედის ძიება. მან ეს შეძლო.

ყველა სპორტსმენისათვის ასევე აუცილებელია, შეხვდეს ისეთ მწვრთნელს, რომელიც მისას იწამებს. იტალიელი გოლეადორისათვის ასეთი გახდა ვიჩენცას თავკაცი ჯანბატისტა ფაბრი.

მიუხედავად ძლიერი ფიზიკური მონაცემების არქონისა, მან შეძლო და პაოლო ცენტრფორვარდად დააყენა, მაშინ როდესაც სხვა მწვრთნელები მას მარჯვენა ან მარცხენა შემტევ ფეხბურთელად მიიჩნევდნენ.

პირველივე სეზონში როსი არა მარტო სერია ბ-ს საუკეთესო ბომბარდირი გახდა, არამედ გუნდს დაეხმარა, სერია ა-ში ასულიყო.

პარალელურად იუვენტუსი აქტიურად ეძებდა ბონინსენიეს შემცვლელს. როსის არ ივიწყებდნენ, მაგრამ არჩევანი, საბოლოო ჯამში, პრუცოს ან ვირდისონს შორის უნდა გაეკეთებინათ.

უკვე ნახევარი წლის გასვლის შემდეგ ნათელი გახდა, რომ იუვეს მესვეურებმა სერიოზული შეცდომა დაუშვეს.

ვიჩენცამ იუვესთან ფეხბურთელზე თანამფლობელობის ნახევარი გაიყო, სეზონის მეორე ნახევარში კი „ბიანკონერიმ“ თხოვნით მიმართა ვიჩენცელებს, რათა ფეხბურთელი სეზონის მე-2 ნახევარში დაეთმოთ. თუმცა საქმე ასე მარტივად არ იყო.

შედგა ფეხბურთელის საიდუმლო გაყიდვა. არის 2 კონვერტი და, რომელიც უფრო მეტ თანხას ჩადებს, ფეხბურთელი სწორედ მას ერგება.

ვიჩენცას კონვერტში 3 მილიონი აღმოჩნდა, ტურინელებმა კი მხოლოდ და მხოლოდ 1.5 მილიონი გაიმეტეს.

იმ სეზონში „ბებერი ქალბატონი“ იტალიის

ჩემპიონი კი გახდა, მაგრამ მე-2 ადგილზე სწორედ ვიჩენცა გავიდა, ხოლო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი 21 წლის როსი გახდა, რომელიც უფრო და უფრო შორდებოდა იუვეს.

იმავე სეზონში ფეხბურთელს დებიუტი ჰქონდა იტალიის ნაკრებში. სწორედ მაშინ შედგა მისი და „სკუადრა აძურას“ ლეგენდარული მწვრთნელის ენცო ბეარზოტის პირველი შეხვედრა.

თავიდან ისე ჩანდა, რომ ის 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობას ვერ მიიღებდა. თავად ფეხბურთელსაც არ ჰქონდა ამის იმედი, რადგან მაშინ ნაკრებში პრუცო, ნოველინო, საგოლდი და გრაციანი ირჯებოდნენ. თუმცა ადამიანები ხშირად ცდებიან. ასე შეცდა როსიც.

საბოლოოდ როსი არგენტინაში აღმოჩნდა და თავიდან სათადარიგოთა სკამზე იჯდა. თუმცა პირველ შეხვედრაში, ფრანგების წინააღმდეგ, გრაციანიმ თავი ვერ გამოიჩინა და მის ნაცვლად მოედანზე როსი გავიდა. მე-2 მატჩში უკვე ძირითადში იდგა. როსიმ არგენტინაში სულ 7 მატჩი ითამაშა, გაიტანა 3 გოლი და გახდა მსოფლიო ჩემპიონატის აღმოჩენა.

და უცებ ვიჩენცას ვარდნა... გუნდი, რომელმაც სერია ა-ში მე-2 ადგილი დაიკავა, მომდევნო სეზონში მე-15 ადგილზე აღმოჩნდა და კვლავ სერია ბ-ს დაუბრუნდა, ხოლო საკუთარი მარგალიტი პერუჯაში გაანათხოვრა.

აი, იქ დაიწყო ცნობილი „ტოტონეროს სკანდალი“, რომელმაც კინაღამ ჯვარი დაასვა ფეხბურთელის კარიერას.

საქმე ტოტალიზატორსა და შეთანხმებულ შეხვედრებს ეხებოდა. როსი შეთქმულებაში დაადანაშაულეს. საუბარი იყო პერუჯა-აველინოს მატჩზე, რომელიც ფრედ, 2:2 დასრულდა. დადგინდა, რომ მატჩი შეთანხმებული იყო. იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ვერდიქტით, პაოლო ფეხბურთს 3 წლით ჩამოაშორეს და ციხეში გამოკეტეს, თუმცა გაახსენდათ, რომ 1982 წელს მსოფლიო ჩემპიონატი მოდიოდა და სასჯელი 1 წელიწადზე დაიყვანეს, კერძოდ, 1982 წლის 30 აპრილამდე.

არადა, საქმეში ერთი რამ მაინც გაუგებარი რჩება – რაში სჭირდებოდა ადამიანს იმ გარიგებაში მონაწილეობა, როდესაც „ქრთამი“ მის 1 კვირის ხელფასზე მეტი არ იყო. ვითარება მეტად ბნელი იყო.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

საზოგადოება

„სუხიშვილების“ კონცერტებმა შვეიცარიაში ანშლაგებით ჩაიარა

ანსამბლ „სუხიშვილების“ კონცერტებმა შვეიცარიაში სრული ანშლაგებით ჩაიარა.

ქართველმა მოცეკვავეებმა მონაწილეობა მიიღეს ვერბიეს საერთაშორისო ფესტივალში, სადაც ქართული კულტურა კიდევ ერთხელ უმაღლეს დონეზე წარმოაჩინეს.

სრულიად გადავსებულმა დარბაზმა ანსამბლი მქუხარე აპლოდისმენტებითა და ხანგრძლივი ოვაციებით დააჯილდოვა.

ნუცა შანშიაშვილი: „ადამიანის ცხოვრება სიკვდილით არ მთავრდება“

მომღერალი ნუცა შანშიაშვილი აცხადებს, რომ ყოველწამსა და ყოველთვის სიკვდილის შიშის დაძლევაზე მუშაობს:

– ადამიანის ცხოვრება სიკვდილით არ მთავრდება. გარდაცვალება ულამაზესი ახსნაა! მდგომარეობის შეცვლა, გადასვლა, ცვლილება.

სულს მარადიულ გზაზე უამრავი რამ ხვდება!

ერთადერთი და უმთავრესი მისიაა ადამიანის ამ დედამიწაზე მოსვლისთანავე, სანამ გარდაიცვლება, აგროვოს საკუთარი თავისა და სულის განვითარებისათვის და მომავალი არსებობისათვის პოზიტიური ემოციები: სიკეთე, სიყვარული, თანაგრძნობა, ურთიერთპატივისცემა, სითბო, მხიარულება, ღიმილი, ხელოვნება და, რა თქმა უნდა, ამ ყველაფრის შემქმნელის ენერგიასთან დაკავშირება!

ცხოვრება მიდის, შენ კი იმ მარადიულ ძალასთან ხარ, რომელიც არის სინათლისა და სიყვარულის საწყისი! მთავარი „ვინჩესტერი“!

არ არსებობს ადამიანის გარეშე არაფერი. ადამიანი არის ცენტრალური ღერძი ყოველივე ქმნილების! ადამიანის სული უკვდავია! უბრალოდ, უნდა მოძებნო და შექმნა შენი საკუთარი ხელით სიკეთისა და სიყვარულის გზა!

უკვდავი გზა შემქმნელისაკენ! სხვა არაფერი არ რჩება, გარდა სიკეთისა და სიყვარულისა! ხშირად მიკვირს, თუ რატომ მაყურებინებს შემქმნელი ადამიანების აურაცხელ განცდასა და ტკივილს და უნებლიეთ ვპასუხობ ჩემს თავს, იმიტომ, რომ ისევ და ისევ დავრწმუნდე, საკუთარი თავიდან გამომდინარე, თუ რა არის სწორი და რა არის არასწორი ქმედება... ამ ცხოვრებაში ყველაფერი ბუმერანგივით გვიბრუნდება... თუ

გგონია, რომ მთავარ უზენაეს თვალს დაემალები ან გაექცევი სადმე, ეგრე არ არის, ყველაფერი გენიალური მათემატიკური ალგორითმით არის აგებული და შენს ცხოვრებას განაგებს არა შენი ტრაფარეტული სიტყვები, არამედ შენი სწორი ქმედებები.

რა არის სწორი ქმედება? მარტო სიყვარული და შენდობა, შენს შინაგან შემეცნებაში, შენს გულსა და გონებაში, სხვა მეტი არაფერი. მე ჩემს თავზე ვმუშაობ ყოველწამსა და ყოველთვის, რათა შიში დავძლიო ტკივილის, სიკვდილისა და უმეცრების შემქმნელის სინათლის მეშვეობით და, როდესაც დრო მოვა, გაღიმებულმა, მსუბუქი და უცოდველი გულით მივატოვო აქაურობა, რათა ვიხალისო ახალ სამყაროში, იქ, სადაც მარადიული სინათლეა!

ცხოვრება არის მზადება ახალი, უფრო მშვენიერი ცხოვრებისათვის! იმუშავე საკუთარ თავზე!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

10 მედალი ტოკიოში — ანალიტიკური კომპანიის ქართული პროგნოზი



მოახლოვდა ოლიმპიური თამაშები და თანდათან იმატებს პროგნოზებიც. ერთ-ერთმა ანალიტიკურმა კომპანიამ ოლიმპიური თამაშების შედეგებზე საკუთარი ვარაუდი გამოთქვა.

ცხადია, ჩვენთვის საინტერესო საქართველოს დელეგაციაზე გაკეთებული პროგნოზი იყო. ანალიტიკოსების ვარაუდით, საქართველოს ოლიმპიური გუნდი თამაშებზე 4 ოქროს, 4 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალს მოიპოვებს და საერთო ჩათვლაში 29-ე ადგილს დაიკავებს.

ძალიან თამამი პროგნოზია და ვისურვებდით, რომ ასრულებულიყოს.

შეგახსენებთ, რომ ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე საქართველო სპორტის 11 სახეობაში 35 სპორტსმენით გამოვა.

იმავე ანალიტიკოსების პროგნოზით, იაპონიაში საუკეთესო შედეგს აშშ-ის ოლიმპიური გუნდი აჩვენებს, რომელიც ჯამში 96 მედალს მოიპოვებს (40 ოქრო, 27 ვერცხლი, 29 ბრინჯაო), მეორე ადგილზე რუსეთი იქნება, რომელიც თამაშებზე დოპინგსკანდალის გამო ქვეყნის დროშის, ჰიმნისა და გერბის გარეშე გამოვა და სულ 68 მედალს (21 ოქრო, 26 ვერცხლი, 21 ბრინჯაო) დაისაკუთრებს. მესამე ადგილზე ჩინეთი გავა – 66 მედალი (33 ოქრო, 11 ვერცხლი, 22 ბრინჯაო).

ძიუდოს საერთაშორისო ფედერაცია ბექაურს მეოთხე ნომრად აყენებს

ძიუდოს საერთაშორისო ფედერაცია ტოკიოს ოლიმპიური თამაშების წინ ძიუდოისტების წარდგენას განაგრძობს. ამჯერად 90 კილოგრამამდე წონითი კატეგორიის ჯერ დადგა, რომელშიც საქართველოდან ლაშა ბექაური გამოვა. საერთაშორისო ფედერაციის აზრით, ლაშა საოცარი ქართველი ძიუდოისტია.

აი, რას წერს ძიუდოს საერთაშორისო ფედერაცია.

– 90 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ლაშა ბექაური რიგით მე-4 ფავორიტად უნდა მივიჩნიოთ. ის საოცარი ქართველი ძიუდოისტია, ისეთი, როგორიც ტატო გრიგალაშვილი. ბექაური 20 წლისაა და ნიკოლოზ შერაზადიშვილთან ფინალიც მოგებული აქვს. მან ევროპის ჩემპიონატზეც ოქროს მედალი მოიგო.

სამწუხაროდ, მსოფლიოს ჩემპიონატზე გუნდურ ასპარეზობაში დაშავდა და მხარი დაიზიანა. მისი ასპარეზობა დამოკიდებულია მის სრულად გამოჯანმრთელებაზე. ის და ნიკოლოზ შერაზადიშვილი ნახევარფინალში ერთმანეთს ხშირად უპირისპირდებიან, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, მას ძლიერ მეტოქეებთან ბრძოლა მოუწევს.

შეგახსენებთ, რომ ზაფხულის 32-ე ოლიმპიური თამაშები იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში 23 ივლისიდან 8 აგვისტომდე გაიმართება.

კვარაცხელიას გლადბახი უმიზნებს

გერმანული მედიის ცნობით, გლადბახი ზაფხულში 2 გარემარბის შეძენას ცდილობს: 20 წლის ხვიჩა კვარაცხელიასა და 23 წლის რომაინ ფავრის, რომელიც საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელი იყო.

ჟურნალისტების ინფორმაციით, გლადბახში ამჟამად სატრანსფერო „საცობია“, მაგრამ ეს მომზადებისთვის ხელს არ უშლის და 2 პოტენციურ ახალწვეულს უკვე დაუკავშირდნენ. ერთია, მაქს ებერლის სატრანსფერო ბაზარზე გასასვლელად სახსრები არ გააჩნია, რადგან კლუბის სპორტულმა დირექტორმა ჯერ ვერც ერთი თავისი ვარსკვლავის გაყიდვა ვერ მოახერხა. ასე რომ, მოცემულ მომენტში გლადბახში ახალი ფეხბურთელების გადასაბირებლად ფული არ ჰყოფნის.

სამაგიეროდ, მოლაპარაკებას აწარმოებს, რათა სწრაფად მოახდინოს დიდი ბაზრის დინამიკაზე რეაგირება და შეიძინოს გარემარბები, ამ შემთხვევაში – კვარაცხელია და ფავრი.

გავრცელებული ინფორმაციით, გლადბახი უკვე ინტენსიურად აწარმოებს მათ ტრანსფერზე მოლაპარაკებას. 23 წლის ფავრში, რომელიც ბრესტში თამაშობს, კლუბი 10-15 მილიონ ევროს გადაიხდის, ხოლო 20 წლის ქართველი კი ბორუსიას 15-20 მილიონი დაუჯდება.

ვინ შეიძლება გაყიდოს გლადბახმა? პირველ რიგში, ეს მარცხენა შემტევი მარკუს ტურამია. ლილიან ტურამის 23 წლის შვილს გუნდი 35 მილიონ ევროდ აფასებს.

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მაღლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

მოურინიუ ახალ ტექნოლოგიებს მიმართავს



ჟოზე მოურინიუ სკანდალური პიროვნებაა. როდესაც ის მატჩის წინ ან შემდეგ პრესკონფერენციას ატარებს, ყველა ხმაურიან განცხადებას ელოდება. სამაგიეროდ, აქამდე ნაკლებად იყო ცნობილი მისი ვარჯიშების შესახებ, თუმცა ამ დღეებში გაირკვა, რომ პორტუგალიელს წვრთნითაც შესძლებია ყურადღების მიქცევა.

მოურინიუ ახლა უკვე რომას უდგას სათავეში და თავის უცნაურობებს იქ ავლენს. ამჯერად მან ტექნოლოგიებს, კონკრეტულად კი დრონს მიმართა.

სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ ვარჯიშის დროს საწვრთნელი მოედნის თავზე დაფრინავს დრონი, კიდესთან კი დიდი მონიტორი დგას და მწვრთნელს შეუძლია, ფეხბურთელებს იქვე აჩვენოს, რა შეცდომები დაუშვეს.

გარდა ამისა, „განსაკუთრებული“ შემადგენლობის გადახალისებაზეც მუშაობს. ჟოზემ ვულვერჰემპტონიდან 33 წლის თანამემამულე, მეკარე რუი პატრისიუ გადაიბირა, რაშიც ინგლისურ კლუბს 9,8 მილიონი გირვანქა გადაუხადა.

მოურინიუს თავისი ყოფილი კლუბისგან, მანჩესტერ იუნაიტედისგან, 28 წლის ბრაზილიელი მარცხენა მცველის ალექს ტელესის იჯარის წესით გადაბირებაც უნდოდა, მაგრამ მანჩესტერელებმა უარი უთხრეს, თუ ტელესის წაყვანა გინდათ, იყიდეთო...

როგორ გახდა ციხიდან გამოსული პაოლო როსი საუკეთესო ბომბარდირი

დასაწყისი მე-6 გვერდზე

პაოლო როსი:

– ცუდი არაფერი გამიკეთებია, მაგრამ, საუბედუროდ, იმ დროისათვის იტალიაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფიგურა ვიყავი. ფედერაციას ზუსტად ასეთი კაცი სჭირდებოდა, რათა ყველასათვის დაენახვებინათ, რომ საჭიროების შემთხვევაში არავის დაინდობდნენ. ერთი სიტყვით, ასეთი იყო ჩემი ბედისწერა.

საბოლოოდ იუვენტუსმა მაინც მოახერხა მისი მილიონ დოლარად ხელში ჩაგდება და 1981-82 წლის სეზონის ბოლოს 3 მატჩის გამართვაც მოასწრო.

გზად ესპანეთში გასამართი მსოფლიო ჩემპიონატი იყო...

დასაწყისში, ფაქტობრივად, მთელი ქვეყანა გაიყო – უნდა ყოფილიყო თუ არა როსი იტალიის ნაკრებში მთავარი დამრტყმელი ძალა?

ვინც წინააღმდეგი იყო, ისინი უპირატესობას პრუცოს, გრაციანისა და ალტობელის ანიჭებდნენ.

მეტად ავტორიტეტული პერსონა ელენიო ერერა კი თვლიდა, რომ როსის ფეხები უფრო მსუბუქად ექნებოდა, მაშინ როდესაც სხვა ფორვარდები მომქანცველი სეზონის შემდეგ გადაღლილები ჩანდნენ.

ენცო ბეარზოტმა ძალიან კარგად იცოდა ყველა მათგანის დამსახურება და პაოლო როსი ჯერ 40 ფეხბურთელის რიცხვში შეიყვანა, ხოლო დისკვალიფიკაციის გასვლის შემდეგ – საბოლოო სიაში.

ჯგუფური ეტაპი ისევე, როგორც როსიმ, ასევე გუნდმა არადამაჯერებლად ითამაშა. იტალია-პოლონეთი (0:0), იტალია-პერუ (1:1), იტალია-კამერუნი (1:1). მთავარი მწვრთნელის მისამართით კრიტიკის ქარ-ცეცხლი გაჩნდა, მაგრამ ჯიუტი ბეარზოტი განაგრძობდა საკუთარი არჩეული გზით სიარულს.

მეორე ჯგუფურ ეტაპზე, არგენტინასთან მატჩში, როსიმ ისევ ვერ გაიტანა, მაგრამ მისმა და ბრუნო კონტის გარღვევებმა ქანცი გაუწყვიტა ალბისელესტეს დაცვას.

შემდეგი იყვნენ ბრაზილიელები: ზიკო, ფალკაო, სოკრატესი, ედერი, ლუიზაო და სხვები, მაგრამ იტალიელებმა შეძლეს მათი დაჩოქება და 3:2 მოიგეს. სწორედ ამ შეხვედრიდან დაიწყო გოლების კასკადი როსის შესრულებით მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონატზე.

გოლი ნომერი პირველი: შეუმჩნევლად უსხლტება ლუიზაოს და განუმეორებელი დარტყმით ხსნის ანგარიშს.

გოლი ნომერი ორი: კიდევ ერთხელ აძინებს ბრაზილიელთა დაცვას და ყუმბარისებური დარტყმით დუბლს იფორმებს.

გოლი ნომერი სამი: აკრობატული ნახტომის შემდეგ გატანილი შედევრი.

ტაბლოზე როსის სახელი სამჯერ არის ამოტვიფრული.

ნახევარფინალში იტალია იმ პოლონეთს შეხვდა, რომელთანაც ჯგუფში უგოლოდ ითამაშა. ამჯერად პოლონელები უფრო არადამაჯერებლად გამოიყურებოდნენ. როსიმ ისინი „დაინდო“ და, ბრაზილიელებისაგან განსხვავებით, მხოლოდ 2 გოლი გაუტანა.

და ფინალი: გერმანიასთან მატჩს არა მარტო „ოქროს ქალღმერთის“ ბედი უნდა გადაეწყვიტა, არამედ საუკეთესო ბომბარდირის წოდებაც. როსი კარლ ჰაინც რუმინიგეს წინააღმდეგ.

იტალიელებმა სულ სამი გოლის გატანა შეძლეს გერმანელების კარში. აქედან პირველი კი როსის ანგარიშზეა. საბოლოოდ „სკუადრა აძურამ“ მეტოქე 3:1 დაამარცხა. იტალიელები 3-გზის მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ, ხოლო როსი, რომელმაც 6 ბურთის გატანა შეძლო – 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი.

პაოლო როსი:

– იმ ჩემპიონატზე აბსოლუტურად ყველა ბურთი მნიშვნელოვანი იყო. მართალია, ფინალში გავიტანე, მაგრამ ბრაზილიელებთან 3 გოლი არასდროს დამავიწყდება.

1985 წელს იუვე როსის მაინც შეელია და როსი მილანში გადავიდა. შავ-წითელთა მაისურით მხოლოდ 2 გოლის გატანა შეძლო, თუმცა რა გოლების!!! ორივე გოლი მილარუნ დერბიში, ინტერის კარში.

და ბეარზოტმა წარსულში შეტანილი წვლილისათვის 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის სანაკრებო განაცხადშიც შეიყვანა, მაგრამ მისი ფეხები მექსიკაში ბურთს არ შეხებია...

ფეხბურთს თავი 1987 წელს დაანება და ბიზნესში წავიდა. იტალიაში ღვინის ფირმის პატრონი იყო. დაინტერესდა სამშენებლო ბიზნესითაც. ფეხბურთს მხოლოდ კომენტატორად დაუბრუნდა და ჩემპიონთა ლიგის მატჩები მიჰყავდა...

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო განცხადებები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო და განათლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახური ღრმა მწუხარებას გამოთქვამს, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის №14 საჯარო სკოლის დირექტორი

მერაბ ჯინჯოლია

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ძველად სატუსაღო, შემდგომ იმპრესიონისტთა მუზეუმი პარიზში; 2. ბუნებაში ყველაზე მეტად გავრცელებული ნაერთი; 3. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 4. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 5. ტრაგედია „ოტელოს“ პერსონაჟი; 6. მდინარე ამსტერდამში; 9. სამთო ინჟინერი; 10. პოპულარული კაფე ძველ თბილისში, ხელოვანთა თავშეყრის ადგილი; 11. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 14. რიტმული მოძრაობის ხელოვნება; 16. სატანვარჯიშო იარაღი; 18. ქართული ტელეკომპანია; 20. მოხალისეთა ჯარი; 23. ფრანგი მეზღაპრე; 24. კლიმატური კურორტი ხონის რაიონში; 25. ლირიკული ხასიათის ზანგური სასიმღერო-საცეკვაო მელოდია; 26. თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურა.

თარაზულად: 7. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 8. უკიდურესი გატაცება რაიმეთი; 12. კუთხე საქართველოში; 13. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საბერძნეთში; 15. ფინური ელექტროტექნიკური კომპანია; 17. კათოლიკური ეკლესიის მეთვალყურე, მცველი; 19. უძველესი ებრაული სახელმწიფო; 21. ლუკ ბესონის მძაფრსიუჟეტიანი ფილმი; 22. კომბინაცია პოკერში; 27. სახელმწიფო ბრალმდებელი სასამართლო პროცესზე; 28. წარმოებაში გამოყენებული დამხმარე მასალა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ბუსეტო; 2. აუდიტი; 3. ნაფტუსია; 4. ილიონი; 6. რედისონი; 8. სტრიტი; 11. ჰაბანერა; 12. კოდექსი; 16. გოგრა; 17. გიუმი; 18. ბეუჟი.

თარაზულად: 1. ბეთანია; 5. სქური; 7. ჰანტელი; 9. ეგვიპტე; 10. კონკური; 13. ტარიელი; 14. მადონა; 15. გობი; 19. სექვოია; 20. სიტროენი; 21. გალაქტიკა; 22. კაბუკი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ხუნტა; 2. ოკაცე; 3. შარბათი; 4. იგლუ; 5. წეკო; 6. კასაცია; 9. ჰემოთერაპია; 10. გაბრიაძე; 11. ავასირხვა; 14. ჰობოი; 16. გრიფი; 18. ეფემერა; 20. შავლეგო; 23. აურა; 24. ზებრა; 25. პაპუი; 26. ვერა.

თარაზულად: 7. განდაგანა; 8. ბატერფლაი; 12. კაკაო; 13. კვიცი; 15. აზოტი; 17. ბანდეროლი; 19. ურალი; 21. ვერძი; 22. სვავი; 27. გრავირება; 28. სპორტინგი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

21 ივლისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1076

ევრო — 3.6592

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.2596

100 რუსული რუბლი — 4.1667

ამინდის პროგნოზი 21 ივლისისათვის

პსჟ-ს პოლ პოგბას ყიდვა სურს

პსჟ მანჩესტერ იუნაიტედის ფრანგი ნახევარმცველის პოლ პოგბას შეძენას აპირებს და პარიზელები მზად არიან, ამ ტრანსფერში სოლიდური თანხა გადაიხადონ, თუმცა კონკრეტული ოდენობა არ სახელდება.

პოგბა იუვენტუსში დაბრუნებას აპირებდა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ეს ტრანსფერი ჯერჯერობით ჩაიშალა, პსჟ კი ფრანგ ნახევარმცველს ძალიან მაღალ ანაზღაურებას სთავაზობს.

ჰენდერსონი ლივერპულს ახალ კონტრაქტზე ვერ უთანხმდება



ლივერპული თავის კაპიტან ჯორდან ჰენდერსონთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას აპირებს, მაგრამ ჯერჯერობით მხარეებს შეთანხმებისთვის არ მიუღწევიათ. ჰენდერსონს გრძელვადიანი კონტრაქტი და უფრო მაღალი ანაზღაურება სურს, ლივერპული კი მხოლოდ რამდენიმეწლიან კონტრაქტს სთავაზობს ჰენდერსონს და მას ეს არ აკმაყოფილებს. სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში მხარეები შეთანხმებას მიაღწევენ.

მოამზადა
ბექა გოგინაშვილმა

გამვლელებმა ფანჯრიდან გადმოვარდნილი ბავშვი დაიჭირეს

ჩინეთში გამვლელებმა გადაარჩინეს ბავშვი, რომელიც მეორე სართულის ფანჯარაში გადმოძვრა და შემდეგ უკან დაბრუნება ვეღარ შეძლო.

ინციდენტი ხებეის პროვინციის ქალაქ შიცზიაჩჟუანში მოხდა. ერთ-ერთი თვითმხილველის მიერ გადაღებულ ვიდეორგოლში ჩანს, რომ ბავშვი ლოჯიის ფანჯრიდან გადმოძვრა, შემდეგ უკან დაბრუნებას შეეცადა, მაგრამ ეს ვეღარ მოახერხა.

გამვლელებმა და ახლომახლო მდებარე მაღაზიების თანამშრომლებმა სქელი ზეწარი მონახეს და ლოჯიის ქვეშ გაჭიმეს. პატარა ბიჭმა კიდევ ერთხელ ცადა ფანჯარაში გადაძრომა, მაგრამ საბოლოოდ იძულებული გახდა, ძირს გადმომხტარიყო.

თვითმხილველებმა ბიჭი ზეწრით დაიჭირეს და ის არ დაშავებულა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ბავშვს დედაზე ადრე გაეღვიძა, ფანჯრის რაფაზე აბობღდა და შემდეგ გარეთ აღმოჩნდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი



21 ივლისისათვის

ვერძი – არ იაქტიუროთ. არასასიამოვნო ინფორმაციის გამო გეგმები გეცვლებათ. **კურო** – ვარსკვლავები დიდ გამარჯვებას გიწინასწარმეტყველებენ. გიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. პროფესიონალურ სფეროშიც წარმატებას მოიპოვებთ. **ტყუპები** – შესაფერისი დღეა ახალი საქმის დასაწყებად. პლანეტები თქვენ მიმართ კეთილგანწყობილნი არიან. **კირჩხიბი** – ძველი, დავიწყებული პრობლემები კვლავ წამოტივტივდება. მოვლენები საღად შეაფასეთ. რეალობას ნუ მოსწყდებით. **ლომი** – ნუ იჯიუტებთ. თუ ვითარება მოითხოვს, კომპრომისი გამართლებულია. საქმეს დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდეთ. **ქალწული** – ახალი ნაცნობობა ან მოულოდნელი შეხვედრა თქვენს საქმეებზე ნეგატიურად აისახება. ემოციები აკონტროლეთ. **სასწორი** – ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. დღეს საოცრად გაგიმართლებთ ნებისმიერ სფეროში. **ღრიანკალი** – პირად ცხოვრებაში პრობლემებს გადააწყდებით. თქვენი არავის ესმის. **მშვილდოსანი** – ძალზე წარმატებული დღეა. ყველა ახალი წამოწყება გაამართლებს. **თხის რქა** – ნუ იქნებით ზედმეტად ჩაკეტილი. გარშემომყოფებს გული გაუხსენით. სიზმარი აგიხდებათ. **მერწყული** – დაწყებული საქმე დროულად დაამთავრეთ. საპირისპირო სქესთან სერიოზული კონფლიქტია მოსალოდნელი. **თევზები** – საქმიან სფეროში ახალი პერსპექტივები გადაგეშლებათ. შესაძლოა, ძალზე საინტერესო შემოთავაზება მიიღოთ.

გისუსტებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

უნივერსიტეტის დერეფანში სტუდენტი პროფესორს აჩერებს და ეკითხება:

– ბატონო პროფესორო, ნებას მომცემთ, ერთი შეკითხვა რომ დაგისვათ?

– რა თქმა უნდა, მკითხეთ, ახალგაზრდავ.

– ბატონო პროფესორო, იცით, რა მაინტერესებს? დასაძინებლად რომ წვებით, წვერს საბნის ქვეშ აყოლებთ თუ საბნის ზევიდან ტოვებთ?

– ჰოო, იცით, მაგაზე არც კი დავფიქრებულვარ.

– კარგით, მომიტევეთ, – უპასუხა სტუდენტმა და გაეცალა.

ერთი კვირის თავზე თვალებდაწითლებული პროფესორი იმავე სტუდენტს ისევ გადაეყარა დერეფანში, გაცოფებული საყელოში სწვდა და უღრიალა:

– ოჰ, შე ნაძირალა! უკვე ერთი კვირაა, ვერ ვიძინებ, თავს ისეც მოუხერხებლად ვგრძნობ და ასეც!

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– ნეტა დიდხანს უნდა ველოდოთ ცვლილებებს?

– თუ დაელოდები, მაშინ – დიდხანს!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ქალები რატომ თხოვდებიან?

– ცხოვრებისეული გამოცდილება არ ჰყოფნით.

– და რატომ შორდებიან?

– მოთმინება არ ჰყოფნით.

– და მერე ისევ რატომ თხოვდებიან?

– მეხსიერების ნაკლებობის გამო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ოლეგ თავაძის დასახმარებლად საქველმოქმედო კონცერტი გაიმართება

მსახიობ ოლეგ თავაძის დასახმარებლად 21 ივლისს, 19 საათზე, მუშტაიდის ბაღში საქველმოქმედო კონცერტი გაიმართება. ხელოვანს პანკრეასის სიმსივნე აქვს და უცხოეთში მკურნალობა ესაჭიროება.

ოლეგ თავაძის ღონისძიების ორგანიზატორი სოციალურად დაუცველთა საქველმოქმედო ფონდი „მადლი“ და მისი პრეზიდენტი ჯემალ დემურაძე არიან.

კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ მომღერლები, საცირკო დასის წარმომადგენლები. პროგრამა გათვლილია ყველა ასაკის მაყურებელზე.

საქველმოქმედო საღამოზე დაიდგმება ყუთები, სადაც დამსწრე საზოგადოებას ოლეგ თავაძისთვის მცირედით დახმარების საშუალება მიეცემა.

მიხეილ ზაქარიაშვილი რობერტ ბარძიმაშვილის ძეგლის დადგმის იდეით გამოდის

მომღერალი მიხეილ ზაქარიაშვილი უფროსი კოლეგის რობერტ ბარძიმაშვილის ძეგლის დადგმის იდეით გამოდის:

– მაქვს იდეა, რომ რობერტ ბარძიმაშვილს გავუხსნა ძეგლი თბილისში. ის ოთხი, თუ ვცდები, გამისწორეთ, ლეგენდარული ანსამბლის შემქმნელია – „ორერა“, ანსამბლი „75“, „ჯორჯია“ და ბავშვთა ანსამბლი „ლახტი“. თითოეულმა მათგანმა უდიდესი კვალი დატოვა საქართველოში ესტრადისა და შოუბიზნესის განვითარებაში, რომლებმაც გასულ საუკუნეში ხალხს უდიდესი სიამოვნება მიანიჭეს!

ადგილი შერჩეული მაქვს ვერის ბაღში, სადაც იქნება მუსიკოსების შეკრების ადგილიც! თქვენ რას იტყვით, არ ეკუთვნის? მერიაში ვინც მუშაობთ და გეკუთვნით ამ საკითხის გადაწყვეტა, გამომეხმაურეთ და ყველაფერს დაწვრილებით მოგახსენებთ.

არ შეიძლება, კაცის ამდენი ნაღვაწი წყალში ჩაიყაროს და შთამომავლობამ არ დავაფასოთ. ვისწავლოთ უკვე პატივისცემა. დროა! მომეხმარეთ პეტიციის გაკეთებაში, გთხოვთ.

ვაჟა აზარაშვილი 85 წლის გახდა

კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი 85 წლის გახდა. არაერთი ცნობილი ნაწარმოების ავტორმა იუბილე პანდემიის გამო ოჯახის წევრების გარემოცვაში მოკრძალებულად აღნიშნა, სამაგიეროდ, უამრავი მილოცვა და საუკეთესო სურვილები მიიღო.

გია ბაღაშვილი, მუსიკოსი:

– დიდ მაესტროს, ჩემს პედაგოგსა და უსაყვარლეს პიროვნებას, ბატონ ვაჟა აზარაშვილს, ვულოცავ 85 წლის იუბილეს.

გვერდში მდგომი, გულიანი, სიკეთის მთესველი, ღირსეული კაცი – იუმორით, ნიჭითა და კეთილშობილებით გამორჩეული.

მისი მრავალმხრივი შემოქმედება კომპოზიტორის სულის ანარეკლია – სიხარულისა და სიცოცხლის დამამკვიდრებელი ძალით დამუხტული, თბილი და დახვეწილი, თვითმყოფადი და იშვიათად გამომსახველი.

ბევრ ახალგაზრდას დღესაც ფორას მისცემს საქმეშიც, ღვინის სმაშიცა და ვაჟკაცობაშიც.

დიდხანს გვყავდე, მაესტრო, ჯანმრთელად და მხნედ!

ის აქ არის!

მოქანდაკე მერაბ ფირანიშვილი სნოში ლოდებისგან ხელოვნების ნიმუშებს ქმნის

უნიჭიერესი მოქანდაკე მერაბ ფირანიშვილი სტეფანწმინდაში, სოფელ სნოში ცხოვრობს და ქვებისგან საოცრებებს ქმნის.

ზურა შევარდნაძე:

– სტეფანწმინდაში, სოფელ სნოში, მოქანდაკე მერაბ ფირანიშვილს ვესტუმრე, მოვუსმინე ყურადღებით, ჩემი სურვილი და მოკრძალებული თხოვნაც გავანდე.

ვფიქრობ, რა კარგი იქნებოდა, ბევრი ქვა შეგვერჩია, მიგვეზიდა მისთვის, ჩართავდა თავის ცეცხლოვან აპარატს, სასწაულ პორტრეტებს შექმნიდა და გაშლიდა ამ დალოცვილ მინდორზე. მეტს არაფერს ითხოვს, საერთოდ არაფერს. გახდებოდა იქაურობა ტურისტებისა და იქ ჩასული ყველა სტუმრისთვის საოცარი სანახაობა.

72 წლის მოვიყარე ამ ორი დღის წინო, მიამბო. წაღებით იმქვეყანას ამ ლოდებს ნამდვილად ვერ წაიღებს, დაგვრჩება ჩვენ დიდ საგანძურად. მარა მაი როის იქნება?!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. სისხლის თხევადი ნაწილი; 2. თამაზ მელიავას კინოკომედია; 3. პოპულარული პარკი თბილისში; 4. ქართველი კინოვარსკვლავი ქალი; 6. იტალიელი კომპოზიტორი, მრავალი მხატვრული ფილმის მუსიკის ავტორი; 8. მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადი საქართველოში; 11. მცენარეთა შემსწავლელი მეცნიერება; 12. ტრაგედია „ოიდიპოს მეფის“ პერსონაჟი; 16. მოკლენიჩბიანი სპორტული ნავი; 17. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი ქართველი მხატვარი; 18. ფინური ელექტროტექნიკური კომპანია.

თარაზულად: 1. ლიტერატურული ნაწარმოების შესავალი ნაწილი; 5. სოხუმის ძველი სახელწოდება; 7. მოღალატე, ვერაგი, გაუტანელი ადამიანი; 9. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 10. თავად-აზნაურთა წინამძღოლი ძველად საქართველოში; 13. ისტორიული მოედანი პარიზში; 14. ერბოში ჩახარშული ყველისგან მომზადებული აჭარული კერძი; 15. დედათა მონასტერი ფარავნის ტბის მახლობლად; 19. რამდენიმე ელექტროსადგური ერთ მდინარეზე; 20. აფრიკის სახელმწიფო ბეჩუალენდის დღევანდელი სახელწოდება; 21. ნიდერლანდური ლუდი; 22. მთა თბილისში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა